

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 9-10, 2013

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ნ. აბესაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილადაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); ო. ფაჩულია; დ. ქუთარაძე (რუსეთი); რ. ჭუთათელაძე; კ. ლურჯვაია; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქვა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абесадзе Н., Абралова А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуня Г., Кураташвили А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папавა В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (Украина); Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Фачулия О., Чикава Л., Читанова Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаური Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; N. ABESADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V. PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. LIBUTI; R. JABNIDZE.

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

პაატა კოლუაშვილი - კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისთვის საჭიროა კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობების რეგულირება -----6	
გიორგი ყუფარაძე - საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ----- 15	

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

გურამ ჯოლია, ქეთევან ჯოლია - ადამიანის მოდელი ეკონომიკურ თეორიასა და მარკეტინგში ----- 33	
ნინო აბესაძე, რუსუდან ქინქლაძე - მოსახლეობის ჯანდაცვის სტატისტიკის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში ----- 52	

შინანსები, ბანკები, ბირჟები

Mushegh Hovhannisyan - Financial Capital and it's Development in a Globalizing Economy ----- 69	
Минасян Виген Бабкенович - Механизм возникновения кризисных явлений на финансовых рынках ----- 76	

ღარგობრივი ეკონომიკა

ნინო ფუტყარაძე - საკრუიზო გემების ტექნიკური მახასიათებლები ----- 90	
Dorien De Tombe - A Multidisciplinary Approach of the Healthcare System ----- 98	

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ნანული მახარაძე - საქონლის მარკირება – პრობლემები ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე -----	113
Mushegh Hovhannisyán - The Relationship of the Concept of Value Management and Principles of Corporate Governance -----	118
ჩადუნელი გელა - ფინანსური დარღვევები, მათი იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია ბიზნესის სფეროში -----	124
გოგოჭური დავითი - ეკონომიკურ დანაშაულთა პროფილაქტიკაში შიდასაფირმო კონტროლის თანამედროვე პრობლემები -----	133
ვასილ ხიზანიშვილი - კომპანიის თანამშრომლები, როგორც სტეიკჰოლდერები -----	144

მსოფლიო ეკონომიკა

არჩილ ანჯაფარიძე - უკრაინულ-ქართული პარტნიორობის ეკონომიკური განზომილება -----	149
Седляр Юлия Александровна - САНКЦИИ В МЕЖДУНАРОДНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ НАУКЕ -----	158

ეკონომისტი აუდიტორიაში

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური, ნათია შენგელია - მიკრო და მცირე ბიზნესი, საქონლისა და მომსახურების ბაზრები, რესურსების ბაზრები -----	168
--	-----

CONTENT

ECONOMIC REFORMS: ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Paata Koghuashvili - Cooperative Process Is Needed to Stimulate Domestic Production Cooperatives Regulations -----	6
Giorgi Kuparadze - Tax Policy and Foreign Direct Investments in Georgia -----	15

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Guram Jolia, Ketevan Jolia - Model of a Human Being in Economic Theory And Marketing -----	33
Nino Abesadze, Rusudan Kinkladze - The Improvement of Population Health as a Factor of Improving living standards -----	52

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Mushegh Hovhannisyan - Financial Capital and its Development in a Globalizing Economy -----	69
Minasian Vigen Babkenovich - The Mechanism of Emergence of the Crisis Phenomena in the Financial markets -----	76

SECTORAL ECONOMY

Nino Putkaradze - The Technical Characteristics of the Cruise Ships ---	90
Dorien De Tombe - A Multidisciplinary Approach of the Healthcare System -----	98

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Nanuli Makharadze - Marking of Goods – Problems in Consumer Market of Georgia -----	113
Mushegh Hovhannisyan - The Relationship of the Concept of Value Management and Principles of Corporate Governance -----	118
Chaduneli Gela - Financial Improprieties, their Identification and Classification in Business -----	124
Davit Gogochuri - The Contemporary Problems of Companies? Internal Control in Prevention of Economic Crime -----	133
Vasil Khizanishvili - Employees of the Company, as Stakeholders-----	144

WORLD ECONOMY

Archil Andjafaridze - The Economic Dimension of Ukrainian-Georgian Partnership -----	149
Sedlyar Iulia Aleksandrovna - The Fines in International-Political Science -----	158

THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM

Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri, Natia Shengelia - Micro and Small Businesses, Product and Service Markets, Resources Markets-----	168
--	-----



**ეკონომიკური რეფორმა:
ანალიზი, პროგნოზები
პერსპექტივები**



**კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისთვის საჭიროა
კოოპერატივების უილა საწარმოო ურთიერთობების
რეგულირება**

პაატა კოლუაშვილი

ემდ, სტუ სრული პროფესორი

ქართული სოფელი უკანასკნელ წლებში გატარებული არას-
ნორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამო უაღრესად
დაკნინებულია. ასეთ პირობებში აგროსექტორის კრიზისიდან
გამოსვლა და შემდგომი განვითარება შესაბამისი დაცვითი მექა-
ნიზმებისა და გარედან დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძ-
ლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე **სასოფლო-სამეურნეო
წარმოებაში დღეისთვის შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა
კიდევ უფრო მეტად აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან
სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სექტორის მხარდაჭერისა და
რეგულირების მოტივაციას.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო რეგულირებით
ხორციელდება ის ფუნქციები, რომლებიც არ არიან უზრუნვე-
ლყოფილი თვითრეგულირების საბაზრო ბერკეტებით. ამ ორი
მექანიზმის ოპტიმალური და დაბალანსებული შეთანანწყობით
მიიღწევა ფინანსური სტიმულების ეფექტური მართვა, რომე-
ლიც ხდება მყარი საფუძველი ყველა საწარმოო სუბიექტის ეკო-
ნომიკური ინტერესების მაქსიმალური მობილიზაციისა და რეა-
ლიზაციისთვის.

თუ თვალს გადავაკლებთ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილე-
ბას ამ კუთხით, დავინახავთ, რომ საკრედიტო-საფინანსო ინსტი-
ტუტები, ისევე როგორც საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობე-
ბი, იცვლება განვითარების ეტაპების მიხედვით. დღეს აგრარული

მკონსტიტუციური რეფორმა-ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

სექტორის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, როგორც წესი, ყველგან ხორციელდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით. ამ პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას სახელმწიფო ახორციელებს მხოლოდ კომპლექსური მიდგომების საფუძველზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროექტმა უნდა მოიცვას კონკრეტული მიმართულების სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი სისტემა. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ აგროპროდუქციის წარმოების სფერო იმყოფება რა სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობის ქვეშ და ფინანსდება რა მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, ქმნის ფერმერული მეურნეობების მდგრადი განვითარების საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ხელთ არსებული რეგულირების ეკონომიკური მექანიზმების რაციონალური გამოყენება საშუალებას იძლევა გადაილახოს ამ მიმართულებით დღეს არსებული შეზღუდვები და შეიქმნას ოპტიმალური პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაფინანსების და მაღალ დონეზე განვითარებისათვის.

თუმცა როგორი იქნება საბოლოოდ ქართული სოფლის მომავალი, დამოკიდებულია ძირითადად იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება გაანალიზებული და შეფასებული დარგის ძირეული პრობლემები, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მისი განვითარების პროგრესული კონცეპტუალური ხედვებისა და ეფექტური პროექტების შემუშავება. სწორი პოზიციის ჩამოყალიბება კი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, რომ ცალსახად იქნეს განსაზღვრული – რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებთან და შესაბამისად რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც რატომღაც ნაკლებად იყო გაცნობიერებული და წარმოჩენილი

როგორც ხელისუფლების, ასევე სამეცნიერო წრეების მხრიდან. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის – შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენდნენ ფერმერებისაგან პროდუქციის შესყიდვას მათთვის მისაღები დაბალი ფასებით, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებდა საქონელმწარმოებლის მიერ პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ, „კარტელურ“ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამომწვეული იყო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლირებული მიგრაციისა და მეორეს მხრივ – აგრარული წარმოების პარალიზებისა.

დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ საწარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმის შენარჩუნება და გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდველი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ერთპიროვნული ხელშეწყობა სოფლის მოსახლეობას (განსაკუთრებით მინის წვრილ მესაკუთრეებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ) საბოლოოდ დაუკარგავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციას და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრებისა და განვითარების პერსპექტივას. მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას რა თქმა უნდა თავისი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება, ბოლო წლების ეკონომიკური პოლიტიკის სერიოზულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

მიმდინარე პერიოდში საქართველოში სახელმწიფო ზემოქმედების სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრისას,

ეკონომიკური რაზორგა-ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების, სანარმოო ძალთა კონცენტრაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და ეფექტური მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის თვალსაზრისით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს რა თქმა უნდა პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდს მიენიჭოს, რამდენადაც ეკონომიკური საქმიანობის კოოპერაციული ფორმის განვითარება სახელმწიფო რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. კოოპერაციის როგორც მენარმეობის ფორმის აღმოცენება თავის დროზე განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ობიექტური მოთხოვნებით (განსაკუთრებით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებაში ჩამორჩენილ ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სფეროში). კოოპერაცია უაღრესად დიდ როლს ასრულებს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედუნარიანობის ამაღლების საკითხებში. ამიტომ. წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს.

საქართველოში, დღეისათვის არსებული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა მძიმე პრობლემების ფონზე, კოოპერირების საშუალებით შესაძლებელია ორი საწყისის გაერთიანება, კერძოდ, საკუთრების (რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას) და მასშტაბური წარმოების განვითარების (რაც განაპირობებს ერთს მხრივ – ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე).

კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნილებების ადექვატური. სახელმწიფოსათვის იგი წარმოადგენს ძლიერ და სანდო პარტნიორს სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. საჭი-

როა გავაცნობიეროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სწორი კურსით წარმართვა ნიშნავს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელის რეალიზაცია გამიზნულია არამარტო სოფლად მცხოვრები ადამიანების, არამედ მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის და ფუნქციონირების გზით. საყურადღებოა რომ ხსენებული ერთიანი ციკლის პირობებში ყოველ მომდევნო საწარმოო საფეხურზე იზრდება დამატებული ღირებულება, რაც ქმნის დამატებით მოტივაციას დაინტერესებული მხარეებისთვის.

ამდენად, არსებულ სიტუაციაში, კოოპერაციული სისტემის ხელშეწყობით, შესაძლებელია სოფლად სიღარიბის დაძლევისა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბების მეტად რთული პროცესის განხორციელება.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოზიცია არაერთხელ იყო გაფლერებული საქართველოს პრემიერ-მინისტრის საჯარო გამოსვლებში, როგორც აგრარულ სექტორში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებულია ქართული სოფლის ფეხზე დადგომის ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება, რომლის ქმედუნარიანობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ სასოფლო-სამეურნეო სისტემის მართვის რომელ ორგანიზაციულ მოდელს აირჩევს ქვეყანა. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს დახმარების პოტენციურ მიმღებთა წრეს და უზრუნველყოფს ერთის მხრივ – ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მართვას და მეორეს მხრივ – აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას.

საქართველოს პარლამენტის მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების შესახებ კანონის მიღება უდაოდ უნდა ჩაითვალოს როგორც საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარ-

გების ახლებურ, რაციონალურ ორგანიზაციულ მონყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის საკითხები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება ნეგატიურად აისახოს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესზე. კერძოდ, უნდა შეიქმნას შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რითაც დარეგულირდება კოოპერატივის შიდა საწარმოო ურთიერთობათა ძირითადი წესები. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი (რაც მას დიამეტრალურად განასხვავებს მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან). ამასთან, კოოპერატივის დაარსების მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები, არამედ მისი წევრების შრომის კაპიტალიზაცია. სწორედ ამ ორი კომპონენტის - (შრომითის და მატერიალურის) რაციონალური შერწყმით მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალურ სოლიდარობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება, რომელიც დასავლური დემოკრატიის ერთერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს.

ევროპულ ქვეყნებში კოოპერატივების განვითარების 170 წლიანი გამოცდილება იძლევა მდიდარ მასალას ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციული მოძრაობის სწორად წარმართვისათვის. ამ გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ ამ მიმართულებით განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას, სადაც ისეთი ელემენტების შემოტანით, როგორცაა: საპაიო შენატანი, დამატებითი პაი, კოოპერაციული შემოსავლები, კოოპერატივის ასოცირებული წევრი და სხვა, ახდენენ კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას უშუალოდ საკანონმდებლო დონეზე იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში განმსაზღვრელი იყოს შრომითი რესურსის ფაქტორი და მასზე

მატერიალურმა კაპიტალმა საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.

საქართველოს მსგავსად, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტებით, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ორივე შემთხვევაში ყველა ქვეყნის კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის (კოოპერატივების) შესახებ შეიცავს პუნქტებს, რომლებიც ძირითადი და საერთოა ყველასთვის. მაგალითად ასეთია:

– კოოპერატივის წევრთა პაი ყალიბდება აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანებით. კოოპერატივის წევრის აუცილებელი საპაიო შენატანის მოცულობა განისაზღვრება თანაბრად, ან კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მისი მონაწილეობის პროპორციულად. დამატებითი პაის შეტანის წესი განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით.

– კოოპერატივის წევრს შეუძლია განახორციელოს დამატებითი საპაიო შენატანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ სრულად იქნება დაფარული აუცილებელი საპაიო შენატანი.

– დამატებითი საპაიო შენატანი კოოპერატივის წევრს უფლებას აძლევს მიიღოს დივიდენდი.

– დივიდენდების გაცემის შემდეგ დარჩენილი შემოსავლები ნაწილდება კოოპერატივის წევრებზე, კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობაში მათი მონაწილეობის პროპორციულად.

– ამ შემოსავლებიდან ავტომატურად ხდება აუცილებელი საპაიო შენატანის გადაუხდელი ნაწილის დაფარვა და სხვა.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი რეგულაციების გარეშე კოოპერატივები ვერ უზრუნველყოფენ ყველა-

ეკონომიკური რაზორმა-ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

ზე მთავარს – იყვნენ ორიენტირებული შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე და მაქსიმალურ უკუგებაზე. ასეთ შემთხვევაში კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ მალევე გადაიქცევა კანონად “სასოფლო-სამეურნეო შპს-ბის შესახებ”, რადგან „კოოპერატივებისაგან“, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისაგან, დარჩება მხოლოდ სახელი და ისინი ფაქტიურად გადაიქცევიან შპს-ბად. ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავებს საზოგადოებაში ისედაც შორს წასულ სოციალურ პოლარიზაციას და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს იმ მთავარი მიზნის განხორციელებას, რისთვისაც შეიქმნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ (სოფლის მოსახლეობის სამენარმეო გააქტიურება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება და სხვ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად, საწყის ეტაპზე სწორედ ქართულმა სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მაორგანიზებელი და ხელშეწყობი ფუნქცია.

დასკვნის მაგიერ. **სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების შეტანა იძლევა საშუალებას ინსტიტუციონალური საფუძვლების შექმნისთვის, რაც, თავის მხრივ, ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი სანარმო-ეკონომიკური და საფინანსო ურთიერთობების გაფართოებულ სისტემებზე.**

რამდენადაც საქმე ეხება ეკონომიკურ ეფექტიანობის ამაღლებას, სოფლის მეურნეობის დარგების ორგანიზაციული მოწყობის ცვლილებათა საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება გახდება ეკონომიკური

რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდის, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლებისა და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარების ეროვნულ საქმეში.

Summary

Paata Koghuashvili

COOPERATIVE PROCESS IS NEEDED TO STIMULATE DOMESTIC PRODUCTION COOPERATIVES REGULATIONS

The work concerns the development of voluntary cooperative relations and inter-branch integration and also the technological settlement in rural areas. Under the aegis of the community unions, the most important locally available resources of the intellectual, economic and organizational arrangement will be fully highlighted as well as a single cycle of production, processing and marketing of agricultural products will be created. Based on social solidarity the cooperative community population will be in full ownership of the income from sales of the final product and it will itself decide on earmarking the respective funds for reproduction and/or handling of common social problems. Implementation of the Community Entrepreneurial Mobilization Program will bring forth a substantial growth of incomes of the major portion of the country's population and dynamic improvement of its socio-economic situation.

საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უსწორი ინვესტიციები საქართველოში

გიორგი ყუფარაძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი, კავკასიის ეკონომიკური
და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი*

შესავალი. ბოლო ათწლეულის მანძილზე, მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და მნიშვნელობა იზრდება. მიუხედავად ცალკეული წლების განმავლობის შემთხვევებისა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ნაკადები საერთო ჯამში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ნაკადებმა 2012 წლისათვის შეადგინა 1.3 ტრილიონ აშშ დოლარი, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 1995 წლისათვის მხოლოდ 315 მლრდ. აშშ დოლარი იყო¹. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის, მათ შორის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროს.

მე-20 საუკუნის დასასრულს სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციამ და ჩაკეტილი ეკონომიკების საბაზრო ეკონომიკის მოდელისაკენ მისწრაფებამ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს მისცა ახალი შესაძლებლობა მოეხდინათ იმ ტექნოლოგიური ცოდნისა და ინოვაციების იმპორტი, რაც უკვე დაგროვილი იყო განვითარებული სამყაროს ქვეყნებში. ამ უკანასკნელმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს მისცა შესაძლებლობა შედარებით მოკლე დროში მიეღწიათ ეკონომიკური

* სტატია ქვეყნდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, საგრანტო პროგრამის „პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის“ ფარგლებში, გრანტი # PG/44/2-230/12

1 UNCTAD(1996) World Investment Report 1996 (United Nations Conference on Trade and Development) UNCTAD(2013) World Investment Report 2013, http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2013_en.pdf

ზრდისათვის. ტექნოლოგიური გამოცდილებისა და ფინანსური კაპიტალის შემოდინების ყველაზე ეფექტურ გზად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იქცა. ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეციპიენტ ქვეყნებს აძლევს საშუალებას მიიღონ ტექნოლოგიური ნინსვლის სარგებელი, მოახდინონ კაპიტალისა და მოაწინავე გამოცდილების იმპორტი თავიანთ ეროვნულ ეკონომიკაში.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი მოცულობის შემოდინების მიღწევა ეროვნულ ეკონომიკაში მიჩნეულია, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად. ცალკეულ მეცნიერთა კვლევების მიხედვით, არსებობს კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებასა და მშპ-ს ზრდის ტემპებს შორის.¹ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, რომელთაც შეძლეს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციითა მნიშვნელოვანი მოცულობის მოზიდვა, მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს, რაც თავის მხრივ განპირობებული იყო ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში მოაწინავე ტექნოლოგიების შემოსვლით და უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ზეგავლენით მთლიანად ეკონომიკაზე.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელობის გამო ეროვნული ეკონომიკების განვითარების მიმართულებით, მთავრობები სულ უფრო აქტიურად ცდილობდნენ მოეზიდათ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი მოცულობა. ამ მიზნისათვის ეკონომიკურ პოლიტიკასა და ეკონომიკურ ანალიზში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ ფაქტორებს, რაც განსაზღვრავდა ამა თუ იმ ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას. აღნიშნული საკითხი ასევე მოექცა მეცნიერთა და მკვლევართა ყურადღების ცენტრში².

1 Dyker, D (1999), "Foreign Direct Investment and Technology Transfer in the Former Soviet Union", published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 1999, p. 9

2 იხ. მაგ. Dunning, J.H. (1981), *International production and Multinational Enterprise*, Allen & Unwin, London Lim, D. 1983 "Fiscal Incentives and Direct

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მთავრობებს შორის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოსაზიდად გაჩაღებული ერთგვარი კონკურენციის საშუალებად, განსაკუთრებით მცირე ზომის ქვეყნების შემთხვევაში, იქცა ფისკალური სტიმულები და სპეციალური შეღავათები. ამგავრმა მზადრმა კონკურენციამ მეცნიერებსა და ანალიტიკოსებს შორის წარმოშვა კითხვა, იმის თაობაზე თუ რამდენად ეფექტური იყო დანესებულები საგადასახადო და ფისკალური შეღავათები იმ დანაკარგებთან შედარებით, რაც ჩვეულებრივ ახლდა ამგვარი შეღავათების შემოღებას. ეს უკანასკნელი საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის გახდა.

მოცემულ კვლევაში განხილულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებასა და საგადასახადო პოლიტიკას შორის კავშირი საქართველოს მაგალითზე. სტატიაში გაანალიზებულია შემდეგი კვლევითი საკითხი: რამდენად მნიშვნელოვანია თავად უცხოელ ინვესტორთათვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ნახალისებისათვის დანესებულები საგადასახადო და ფისკალური შეღავათები?

დასმული კვლევის საკითხის გაანალიზებისათვის ბოლო პერიოდამდე სამეცნიერო და კვლევით ლიტერატურაში გამოიყენებოდა ორი კვლევითი მეთოდი: დროითი მწკრივების ეკონომეტრიკული ანალიზი და უცხოელ ინვესტორთა შერჩევითი გამოკითხვები¹. წარმოდგენილ სტატიაში მოცემულია უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვის შედეგები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შემთხვევაში ოფიალურად გამოქვეყნებული

Foreign Investments in Less Developed Countries". Journal of Development Studies 19(2):207-12

1 ლიტერატურის სრული მიმოხილვისათვის იხილეთ: How Tax Policy and Incentives Affect Foreign Direct Investment, A Review. Jacques Morisset and Neda Pirnia, Foreign Investment Advisory Service (FIAS), The World Bank. 2000. სხვადასხვა რაოდენობრივი მოდელების აღწერისათვის იხილეთ: OECD; TAX Effects on Foreign Direct Investment" Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007 pp 28-34. ი. ანანიაშვილი, ლ. პაპავა. რესურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მოდელები. ეკონომისტი, # 1, გვ. 8-29

სტატისტიკა ფარავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა საკმაოდ ფართო მაჩვენებლებს, რაც არ იძლევა საშუალებას განალიზებულ იქნეს უცხოურ ინვესტიციათა თავისებურებები დარგებისა და ქვედარგების მიხედვით. დამატებითი მონაცემების მნიშვნელოვან წყაროდ რჩება უცხოულ ინვესტორთა გამოკითხვა.

პირდაპირი უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება და საქართველოს საგადახადო პოლიტიკა. როგორც უკვე აღვნიშვნეთ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყაროა. საქართველოს ეკონომიკისათვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არსებითი როლი აქვს. პუი-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2008 წელს 1.56 მილიარდ. აშშ დოლარის ოდენობით¹, რამაც თავის მხრივ მთლიანი შიგა პროდუქტის 12.2 პროცენტი შეადგინა. ამავე წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა კუმულატიურმა მაჩვენებელმა მთლიანი შიგა პროდუქტის მიმართ 44.5 პროცენტი შეადგინა. 2008 წელს საომარმა კონფლიქტმა რუსეთთან და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად დასცა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება საქართველოში. მაჩვენებლების ზრდა დაიწყო 2010 წლიდან, უკვე ამ წლისათვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მაჩვენებელმა 814.5 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს ეკონომიკისათვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვნების გამო, მიზანშეწონილია იმ ფაქტორების გამოკვლევა, რაც ზემოქმედებს საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებაზე.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს პრობლემატური ასპექტები იცვლება ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირებასთან ერთად. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი მოცულობის მოზიდვის მიღწე-

1 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=140&lang=eng

აქონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ვა. 1995-2003 წლებისათვის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი იყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და კორუფციის შემცირება¹. 2003 წლიდან ხელისუფლების ცვლილების შედეგად რადიკალურად შეიცვალა ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევამ და კორუფციის შემცირებამ დაკარგა თავისი აქტუალობა, ახალმა მთავრობამ შეძლო მასობრივი კორუფციის დამარცხება. საგადასახდო სფეროში, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით გატარდა წარმატებული რეფორმები. უცხოელ ინვესტორთათვის შეთავაზებულ იქნა ფართო საგადასახდო შეღავათები. ამ მხრივ საგადასახდო პოლიტიკაში ვგულისხმობთ შემდეგი პარამეტრების გამიზნულ მართვას, განსაზღვრულ მიდგომაზე დაყრდნობით: დიფერენცირებული საგადასახდო განაკვეთები და ხარჯების გამოქვითვა, დაბეგრისაგან გათავისუფლება და საგადასახდო ადმინისტრირება.


2005 წლიდან გატარებულმა ახალმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კურსმა გავლენა იქონია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებაზე. 2006 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინებამ მიაღწია 1190,4 მილიონ აშშ დოლარს, რომელიც თავის მხრივ 128 პროცენტით მაღალი იყო წინა წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით. ამავე წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთო ინვესტიციების 47 პროცენტს შეადგენდა, მშპ-ში 15 პროცენტისი წილით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 2005 წლისათვის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების მხოლოდ 25 პროცენტი შეადგინა.² უცხოურ ინვესტიციათა ზრდის ტემპი ასევე გაგრძელდა 2007 წლისათვისაც, უკვე 2008 წლის დასაწყისში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოცულობამ მიაწვდინა მოცემულ

1 საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისათვის იხილეთ: ლ. პაპავა პოსტ-რევილუციური საქართველოს ეკონომიკური მიღწევები, ჟურ. გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები (Problems of Economic Transition), ტ. 56, # 2, ივნისი 2013 გვ.51-56

2 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემები, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

პერიოდამდე დაფიქსირებული მონაცემების მაქსიმუმს 814,5 მილიონ აშშ დოლარს. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი იყო 1.96-ჯერ მეტი წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების პირდაპირი შედეგი იყო¹. რადიკალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები საგადასახადო ადმინისტრირების მიმართულებითაც, რამაც საბოლოოდ მოიტანა მასობრივი კორუფციის შემცირება და საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის გამუჯობესება. აღნიშნული მიღწევები აღიარებულ იქნა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებში.

დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში, 2000-2011 წლები



2008 წლის საომარმა კონფლიქტმა რუსეთთან და მეორეს მხრივ მსოფლიო ფინანსური კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ნაკადები. უკვე 2009 წლიდან მთავრობის მიერ გამოცხადდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვის პროაქტიული პოლიტიკა. ამ პერიოდისათვის ასევე არსებობდა თავისუფალი საინვესტიციო რესურ-

1 მ. გელაშვილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ეკონომიკის სექცია, მე-3 ტომი, 2008 გვ 159

სების დეფიციტი მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, არსებული კრიზის გამო. ამ ფაქტმა ასევე მნიშვნელოვანად შეამცირა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება საქართველოში.¹

2011 წლის პირველი კვარტლისათვის პუი-მ შეადგინა 174 მილ. აშშ დოლარი. აღნიშნული მაჩვენებელი აღემატებოდა 2009 და 2010 წლის შესაბამის მაჩვენებლებს 1.5 და 2.3 ჯერ შესაბამისად. დიაგრამა 1-დან ასევე შეგვიძლია დავინახოთ 2009 წლიდან მოყოლებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უკვე საერთო კლებას განიცდის საქართველოში.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციითა შემოდინების მოცულობის გაზრდისათვის საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა რიგი მასტიმულირებელი ღონისძიებები. სპეციალური კანონით შემოდებულ იქნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, სადაც მოქმედებს სპეციალური შეღავათები ზონაში მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის გადასახადებისაგან გათავისუფლების ჩათვლით. ამჟამად საქართველოში სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა-ფოთში, ქუთაისში და თბილისში. თეზ-ები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვის მოლოდინში არიან.

როგორც განხილული მონაცემებიდან ჩანს, 2005 წლიდან მოყოლებული სახეზე გვაქვს ერთი მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მოერე მხრივ კი მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების შემოღება უცხოელ ინვესტორთათვის. გატარებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები აღიარებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2004 წლიდან მოყოლებული საქართველოს საგადასახადო სისტემაში ჩატარდა ძირეული რეფორმები. გაცხადებული მიზნების მიხედვით საგადასახადო სფეროში რეფორმების მთავარი მიზანი ბიზნესისა და ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა იყო.

1 Georgian Economic Outlook – The first half of 2011, Economic Policy Research Center გვ. 20

ლიბერალური რეფორმების ძირითადი შედეგი დაბეგვრის გამარტივებული პროცედურები და გადასახადების რაოდენობის შემცირება იყო. 2004 წელს არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. გადასახადების შემცირებას პოტენციური ინვესტორებისათვის აქვს შემდეგ ორმაგი დატვირთვა: პირველ რიგში მცირდება პირდაპირი საგადასახადო ხარჯი, ასევე მცირდება საერთო საგადასახადო და ბუღალტრული დეკლარირების ხარჯები.

უცხოურ ინვესტორებთან დაკავშირებით შემოღებულ იქნა სპეციალური საგადასახადო შეღავათები:


- სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით დამატებითი ღირებულებისა და სოციალური გადასახადების არარსებობა;
- კაპიტალის დანახარჯები შესაძლებელია გამოქვითულ იქნას ინვესტიციის განხორციელების წელს, ნებადართულია ზარალის გადატანის 10 წლიანი პერიოდის გამოყენება;
- კაპიტალის აფასებით მიღებული შემოსავლების დაბეგვრისგან გათავისუფლება;
- ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება;
- უცხო წყაროდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრისაგან გათავისუფლება.

უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების მხარდასაჭერად საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა სპეციალური სტატუსები: საერთაშორისო სანარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი. საინვესტიციო მიზნებისათვის შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები, სადაც ინვესტორთათვის დაბეგვრა ნულ პროცენტთან განაკვეთით არსებობს.

თუ შევადარებთ იმ საგადასახადო განაკვეთებს (დიაგრამა 2 და 3), რაც გამოიყენება უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი და რეზიდენტი კომპანიების მიმართ, ცხადი ხდება, რომ უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი კომპანიების მიმართ მიდგომა საკმაოდ ლიბერალურია შემოსავლებისა და მოგების დაბეგვრის კუთხით.

ეკონომიკური თეორიის თანამართლება პრობლემაში


დიაგრამა 2. შემოსავლების, დივიდენდებისა და პროცენტების დაბეგვრა 2004-2014 წლებისათვის(2014 წლისათვის დაგეგმილი ცვლილების ჩათვლით¹)



დიაგრამა 2-ზე წარმოდგენილი განაკვეთები განკუთვლილია რეზიდენტი ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ტერიტორიებისა. თუ ამ განაკვეთებს შევადარებთ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ტერიტორიებზე არსებულ განაკვეთებს, ცხადად ჩანს, რომ უცხოური ინვესტიციების განმხორციელებელი კომპანიების მისამართით მოქმედებს საკმაოდ ლიბერალური რეჟიმი. რეფორმირების პერიოდში მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20 პროცენტიდან 15 პროცენტამდე. რაც შეეხება დივიდენდის დაბეგვრას, 2012 წლიდან დაბეგვრის 3% შემცირდა 0 პროცენტამდე. ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით დივიდენდების ნულპროცენტიანი დაბეგვრა ხელს შეუწყობს ერთობლივი სააქციო საზოგადოებების შექმნას, რაც თავის მხრივ დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის წინაპირობა იქნება.

1 დიაგრამა შედგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის“ შესახებ საქართველოს მიერ რატიფიცირებული შეთანხმებების მონაცემების მიხედვით.

დიაგრამა 3. საგადასახადო განაკვეთები თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში და სხვა დანარჩენ ტერიტორიებზე საქართველოში



როგორც დიაგრამა 3-დან ვხედავთ, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში არ არის შემოღებული მოგების, დამატებითი ღირებულებისა, საბაჟო და ქონების გადასახადები. ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკური გატარების შედეგი ორმაგია, ერთი რომ ის რეალურად ამცირებს დანახარჯებს კომპანიებისათვის, ხოლო მხრივ ამ ამგვარი მიდგომა ქმნის ერთგვარ იმიჯს ქვეყნისას, სადაც უცხოური ინვესტიციებისათვის არსებობს მხარდამჭერი გარემო.

უცხოური ინვესტიციების მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკა ასევე ასახულია რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში: „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ„. ამ ხელშეკრულებების მთავარი მიზნებია: ინვესტორთათვის გარკვეული სახის გარანტიების შეთავაზება, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის გზით¹, საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა. საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება რატიფიცირებული აქვს ყველა ძირითად ინვესტორ და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნას-

1 OECD commentary on Art. 1, Para 7, Model Tax Convention on Income and on Capital, Condensed Version. Paris, 2005

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

თან(44 ქვეყანა)¹. ამ კონვენციების მიხედვით ინვესტორს აქვს იმის გარანტია, რომ ის არ მოექცევა ორმაგი დაბეგვრის ქვეშ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საქართველოს რატიფიცირებული აქვს აღნიშნული ხელშეკრულებები. საგადასახადო ტვირთიდან გამომდინარე ინვესტორმა შესაძლებელია განსაზღვროს ინვესტირებისათვის სასურველი ქვეყანა. ეს ხელშეკრულებები უცხოელ ინვესტორებს ფაქტობრივად სთავაზობენ უფრო დაბალი განაკვეთებით დაბეგვრას დივიდენდისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ჩათვლით. საგადასახადო განაკვეთები და გამოქვითვები ცვალებადობს კონკრეტულ ქვეყნასთან მიმართებაში, თუმცა საქართველოს მიდგომა ამ მხრივ საკმაოდ ლიბერალურია და იგი უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისკენაა მიმართული.

აღნიშნული რეფორმები და ცვლილებები საქართველოს საგადასახადო სფეროში აღირებულ იქნა როგორც დადებითი შედეგის მომტანი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მიღწევა. აღნიშნული დასკვნა ასახულ იქნა არა ერთ საერთაშორისო კვლევასა და რეიტინგში:

- 2008 წელს ჟურნალ „ფორბსის„ მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში სახელდებოდა როგორც მეოთხე ყველაზე ნაკლები საგადასახადო ტვირთის მქონე ქვეყანა.²

- ფრეიზერის ინსტიტუტის კვლევის „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში„³ მიხედვით საქართველოს ეკონომიკა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით, მსოფლიოს 144 ქვეყნიდან 27-ე ადგილს იკავებს.


- მსოფლიო ბანკის კვლევის „ბიზნესის კეთება მსოფლიოში„ მიხედვით საქართველოს ერთ-ერთ მონინავე პოზიციაზეა. ინდექსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს გადასახადების გადახდა და საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობა წარმოად-

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: <http://www.mof.ge/4793>

2 http://www.forbes.com/global/2008/0407/060_2.html

3 <http://www.freetheworld.com/release.html>

გენს. ინდექსის საერთო შეფასებით საქართველო იკავებს მონინავე პოზიციებს. (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4. საქართველოს პოზიცია „ბიზნესის კეთები“ ინდექსის მიხედვით¹, 2006-2011 წლები .

გადასახადების გადახდის კუთხით საქართველო დგას 42-ე ადგილზე. მსოფლიო ბანკის მოხსენებაში საქართველო აღნიშნულია როგორც ერთ-ერთი მონინავე ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივით. ამავე მოხსენების მიხედვით, საქართველო არის იმ 12 ქვეყნების ეკონომიკების სიაში, სადაც არ არსებობს სოციალური და შრომასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახადები². ასევე იგივე კვლევის მიხედვით, საქართველო არის იმ მცირერიცხოვანი ქვეყნების ჯგუფში, რომელთაც დანერგეს ელექტრონული და გამარტივებული საგადასახადო დეკლარირების სისტემა.

1 <http://www.doingbusiness.org/reports/global-reports/doing-business-2012>

2 <http://www.doingbusiness.org/~media/FPKM/Doing%20Business/Documents/Special-Reports/Paying-Taxes-2012.pdf>

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური და საგადასახადო სისტემების რეფორმები დადებითაც იქნა გადმოცემული მსოფლიოში აღირებულ საერთაშორისო კვლევებსა და შეფასებებში. მოერეს მხრივ, 2005 წლიდან მოყოლებული სახეზე გვაქვს, საერთო ჯამში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა შემოდინების ზრდა და საგადასახადო განაკვეთების შემცირება. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამ ორ ფაქტორს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი: საგადასახადო პოლიტიკა განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობას საქართველოში. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგადასახადო პოლიტიკის გარდა თეორიულად ასევე არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას. საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორები თავის მხრივ არ შედის ძირითად საინვესტიციო ფაქტორებს შორის (გასაღების ბაზრები და რესურსები) და მიეკუთვნება ინვესტირების ე.წ. ინსტიტუციონალურ ფაქტორებს. ინვესტირების ინსტიტუციონალური ფაქტორები კი თეორიულად მნიშვნელოვანი შესაძლებელია აღმოჩნდეს მცირე და რესურსებით არაუზრუნვეყოფილი ქვეყნებისათვის. მოცემული კვლევის ჰიპოთეზის შემოწმებისათვის ჩატარებულ იქნა უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვა.

ინვესტორთა გამოკითხვის შედეგები. ოფიციალური მონაცემების შევსების მიზნით ჩატარებულ იქნა უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვა. გამოითხვა ჩატარდა კვლევის მიზნებისათვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით (ინტერვიუები ჩატარდა 2013 წლის მარტსა და აპრილში).¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა მსხვილ უცხოელ ინვესტორთა სია. გამოკითხვები ჩატარდა პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით, მთლიანობაში გამოკითხულ იქნა 25 ინვესტორი. მიუხედავად შერჩევის მცირე ზომისა,

1 2008 წლამდე საინვესტიციო გარემოს კვლევა იხილეთ შემდეგ სამეცნიერო შრომაში: Gürsoy F, Kursun O. Investment Climate of Georgia, IBSU Scientific Journal, 2 (1), 2008

რესპოდენტების პასუხები მოცემული კვლევის პირობებში შესაძლებელია განვავრცოთ პოპულაციის დანარჩენ ნაწილზეც, რადგან მოცემული 25 ინვესტორი წარმოადგენენ უმსხვილეს ინვესტორებს ბოლო ორი წლის მანძილზე.

კითხვარები შევსებულ იქნა კომპანიის მმართველი მენეჯერების მიერ, რომლებიც წარმოადგენდნენ თავიანთი სათავო კომპანიების სტრატეგიულ ინტერსებს საქართველოში 2009, 2010, 2011 წლებისათვის. რესპოდენტების კომპანიების სექტორული დაყოფა შემდეგია: მომსახურების სფერო 13, წარმოება 10, ენერჯო სექტორი 2. კითხვარები შედგენილ იქნა იმგავარად, რომ რესპოდენტების მხრიდან მომხადრიყო საინვესტიციო გარემოს მნიშვნელოვანი ასპექტის საგადასახადო ფაქტორების როლის გამოკვეთა. კითხვარი შედგებოდა 10 ძირითადი და დახურული შეკითხვებისაგან. ცალკეულ რესპოდენტებთან კითხვარების დაგზავნა მოხდა ელექტრონული ფორმით, ცალკეულ რესპოდენტებს ვენჯიე პირადად დასაბუთებული შედეგების მისაღებად.

კითხვარის პირველი ნაწილი მოიცავდა ინფორმაციის შეკრებას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: კომპანიის ზომა, საქმიანობის ეკონომიკური სექტორი, განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა საქართველოში, ბიზნესის სამართლებრივი ფორმა. კითხვარის მეორე ნაწილში მოცემული იყო კითხვები იმ ძირითად საინვესტიციო ფაქტორებზე, რაც ჩვეულებრივ განსაზღვრავს ინვესტიციების განხორციელების ალბათობას ამა თუ იმ ქვეყანაში. მოსაცველი ფაქტორებისა და კითხვების ჩამონათვალი დაეფუძნა უკვე განვითარებულ მოდელებს, რაც გამოქვეყნებულია დასავლეთის კვლევით ლიტერატურაში. თავად საგადასახადო პოლიტიკა დაყოფილ იქნა შემდეგ ვექტორებად: საგადასახადო განაკვეთები, ამორტიზაციის ნორმები და საგადასახადო ადმინისტრირება. ჩასართველი კითხვარების მოდელი დაეფუძნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საგადასახადო პოლიტიკის მოდელს


უცხოური ინვესტიციებისათვის.¹

კითხვარის ბოლო ნაწილში მოცემულ იქნა მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა მცირე და რესურსებით არაუზრუნველყოფილი ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებები. ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზებულ იქნა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის მეშვეობით. კითხვარის შედეგები გამოყენებულ იქნა კვლევის ძირითად შეკითხვაზე პასუხის გასაცემად: რა წონა აქვს საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს, ინვესტირების შესახებ გადანიშნულებების მიღებისას საქართველოში ?

ათ ძირითად საინვესტიციო ფაქტორებს შორის გამოკითხულმა ინვესტორებმა საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორებს მნიშვნელოვანი მეთხე ადგილი მაკროეკონომიკური სტაბილურობის, შრომის ბაზრის რეგულირების თავისებურებებისა და სატრანსპორტო ხარჯების შემდეგ. (იხ. დიაგრამა 5). ამ კითხვისათვის გამოყენებულ იქნა შეფასების ათბალიანი შკალა ქულათა კელბადი მინიჭებით. მიღებული შედეგების მიხედვით საგადასახადო განაკვეთებმა მიიღო საშუალო შეონონილი 5.33 ქულა, ხოლო საგადასახადო ადმინისტრირებას ინვესტორებმა მნიშვნელოვანი უფრო მაღალი მნიშვნელობა - საშუალო 7 ქულა. მოცემულ კითხვაში არ იქნა ჩართული ე.წ კლასიკური საინვესტიციო ფაქტორები - ბაზრის ზომა და რესურსების ხელმისაწვდომობა. ეს უკანასკნელი ჩართულ იქნა შემდეგ კითხვაში. მოცემული კითხვის ამგვარი სახით დასმამ საშუალება მოგვცა გამოკითხვისას კონცენტრირება მოგვეხდინა საინვესტიციო გარემოს ინსტიტუციურ ფაქტორებზე, ეთგოს საინვესტიციო პოლიტიკის მოდელის მიხედვით.

1 OECD: **TAX Effects on Foreign Direct Investment” Recent Evidence and Policy Analysis. #17, OECD 2007 pp 28-34**

დიაგრამა 5. საქართველოს საინვესტიციო გარემოსათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფაქტორები ინვესტორთა გამოკითხვის მიხედვით (საშუალო შენობილი ქულები)



როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, საინვესტიციო გარემოს ინსტიტუციურ ფაქტორთაგან ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად გამოკითხულ ინვესტორებს მიაჩნიათ: საკუთრების უფლებების დაცულობა, საგადასახადო ადმინისტრირება და შრომის ბაზრის რეგულირების თავისუბურებები. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ პასუხების გაცემისას ინვესტორები ითვალისწინებენ საქართველოში მათ მიერ უკვე დაგროვებულ გამოცდილებას. ამ უკანასკნელით შესაძლებელია აიხსნას ის, რომ ინვესტორები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საგადასახადო ადმინისტრირების ფაქტორებს, ვიდრე ოფიციალურად არსებულ საგადასახადო განაკვეთებს. ეს შედეგი გარკვეულწილად ეთანხმება ეთგოს საინვესტიციო პოლიტიკის მოდელს, რომლის მიხედვითაც საინვესტიციო გარემოს შეფასებისას უფრო მეტი მნიშვნელობა ჩვეულებრივ მიენიჭება პრაქტიკაში არსებულ საგადასახადო რეგულირებას, ვიდრე კანონმდებლობით განსაზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს.

აქონობიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**ცხრილი 1. ძირითადი საინვესტიციო ფაქტორები საქართველოში:
ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები**

<i>ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები</i>	<i>საშუალო ქულა</i>
ბუნებრივი რესურსები	1,67
ბაზრის ზომა	3,33
გეოგრაფიული მდებარეობა	2,67
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	4,67
საგადასახადო პოლიტიკა	3,00

იმისათვის, რომ კველვის ფარგლებში მომხდარიყო კლასიკური საინვესტიციო და ინსტიტუციური ფაქტორების შედარება კითხვარში გამოყოფილი კითხვის სახით იყო მოცემული საგადასახადო პოლიტიკისა და კლასიკური საინვესტიციო ფაქტორების შედარება. გამოკითხული ინვესტორების უმრავლესობამ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ბაზრის ზომა დაასახელა(ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ ე.წ. „დაუკავებელი ბაზრის“ ეფექტზე, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის). გამოკითხვის შედეგების მიხედვით ბაზრის ზომამ და მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ მიიღო 3.33 და 3.00 საშუალო ქულები. საგადასახადო პოლიტიკამ, მოცემულ ჩამონათვალში დაიკავა მესამე ადგილი 5 ძირითად საინვესტიციო ფაქტორს შორის. ერთ-ერთი ინვესტორის აზრით, საგადასახადო პოლიტიკა არის დამატებითი ფაქტორი ისეთი ძირითადი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში როგორებიცაა: ბაზრის მახასიათებლები და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. მიღებული შედეგის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს ზღვრულ ფაქტორს ძირითადი საინვესტიციო ფაქტორების მიმართ.

კითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკა, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორი საქართველოში ინვესტირებისას, გამოკითხულ რესპონდენტებიდან უმრავლესობამ უპასუხა, რომ საგადასახადო პოლიტიკა აღიქმება, როგორც სხვა ფაქტორებთან ერთად მოქმედი დამატებითი ფაქტორი. საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმამ, რომლიც თავის მხრივ ფართოდ გაშუქდა საერთაშორისო მოხსენებებსა და კვლევებში,

ქვეყანას ინვესტორების თვალში შეუქმნა ზოგადი იმიჯი, როგორც უცხოელ ინვესტორთათვის მხარდამჭერი ქვეყნის იმიჯი. თუმცა პრაქტიკული რელობიდან გამომდინარე გამოკითხულმა ინვესტორებმა, საქართველოში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე უფრო დიდი მნიშვნელობა საკუთრების უფლების დაცულობას მიანიჭეს. რაც შეეხება ზოგად თეორიულ ხედვას, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ზოგადად ინვესტორებისათვის საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორები იკავებენ ადგილს ბუნებრივი რესურსების, ბაზრის ზომის, გეოგრაფიული მდებარეობის და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემდეგ.

SUMMARY

Giorgi Kuparadze

Tax Policy and Foreign Direct Investments in Georgia

In this research is examined the role and influence of tax policy on foreign direct investments on the example of Georgia. Research period covers 2003-2012 years.

Application of operational reporting improves the efficiency of decision-making in order to achieve the best results, and hence contributes to the return on invested capital (ROIC). Accountability of managers to shareholders also reduces the risk of opportunistic behavior to a minimum. Finally, an effective system of corporate governance improves reputation, which is a very important intangible asset.

Consultancy McKinsey conducted a study of corporate governance 188 companies operating in the markets of the six countries with developing economies - India, South Korea, Malaysia, Mexico, Taiwan and Turkey. The hypothesis of a direct link between the level of corporate governance and market capitalization of the company confirmed the results of the study. Corporations that have received high ratings of corporate governance, and had a higher ratio of share price to book value of its assets.

Choosing a model for the valuation of a company depends on the purpose of the object and the specific conditions of the assessment. Many authors have pointed to the shortcomings of traditional assessment methods in Armenian economic conditions. However, we believe that an objective assessment of the business value can be used by several methods.

In our opinion, the combination of the method of net assets (determined by the underlying value of the company as a property complex) in combination with the methods based on indicators of economic benefits will get an estimate of the cost that best addresses all factors of value creation: the size of the net assets yield (equity investment, total assets), the possible risks and the impact of the stock market.

Strong evidence of the influence of corporate governance on value creation can be obtained only on the basis of a considerable number of measurements over a long period of time and take into account the impact of both financial and macroeconomic factors.

LIST OF REFERENCES:

1. Notes on Corporate Governance Manual, <http://www.ifc.org/europe/default/descripen/indexen/footen/footen.html>
2. Coombs, P., Watson, M., Campos, K., R. Newell, Wilson G. Price of corporate governance // Bulletin of McKinsey. - 2003. - № 1
3. Haspeslagh, Philippe, Tomo Noda, and Fares Boulos, “Managing for Value:It’s Not Just About the Numbers.” Harvard Business Review (July-August 2001): 65-73.
4. Faccio M., Lang L. The ultimate ownership of Western European Corporations.// Journal of Financial Economics, 2002, № 65, 365–395.

რეზიუმე

მუშეგ ჰოვანისიანი

კორპორაციული მართვის პრინციპებისა და „ღირებულების მართვის კონცეფციის კავშირი“

კომპანიის ღირებულების ზრდა - ეს არის სტრატეგიული მიზანი, რომლის მიღწევითაც შესაძლებელია კორპორაციული ურთიერთობის სხვადასხვა მონაწილეთა ინტერესების ჰარმონიზაცია, და მთავარი მიზანი კორპორაციული მართვისა .

მთავარი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ღირებულებაზე, არის სააქციო და სასესხო კაპიტალის ღირებულება, ასევე მიღებული შემოსავალი ჩადებული ინვესტიციებიდან. იმ მთავარი მაჩვენებლების შერჩევის საფუძველზე ინდივიდუალურად თითოეული კომპანიისთვის, რომლებიც უკეთ შეაფასებენ ამ ფაქტორების ეფექტს, უფრო ადვილი იქნება ეფექტური მართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

ჩვენი აზრით, წმინდა აქტივების ღირებულების (აქტივებს-ვალდებულებები) მეთოდის

კომბინაციით ეკონომიკურ სარგებელის ინდიკატორებზე დაფუძნებულ მეთოდთან ერთად ადვილი იქნება კომპანიის შეფასება, რომელშიც ერთდროულად გაითვალისწინება კომპანიის ღირებულების გაზრდაზე ყველა მოქმედი ფაქტორი: წმინდა აქტივების სარგებელი (საინვესტიციო კაპიტალი, მთლიანი აქტივები), შესაძლო რისკები და ზემოქმედება საფონდო ბაზარზე.

ფინანსური დარღვევები, მათი იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია ბიზნესის სფეროში

ჩადუნელი გელა
სტუდენტორანტი

ფინანსური დარღვევები ეკონომიკურ დანაშაულთა ჯგუფს მიეკუთვნება. მათი ერთი ნაწილი სახელმწიფოებრივი დონისაა, მეორე – შიდასაფირმო. ხშირად ისინი ერთმანეთშია გადახლართული და მათ ორივე ჯგუფს აკუთვნებენ.

ფინანსური დარღვევა ისეთი ეკონომიკური დანაშაულია, რომელიც ფინანსურ დანაკარგს იწვევს. სახელმწიფო დონის ფინანსური დარღვევა – სახელმწიფოს აზარალებს, შიდასაფირმო კი – ორივეს.

იმის მიუხედავად, რომ ძალზე ძნელია (ხშირად კი შეუძლებელი) სახელმწიფო და შიდასაფირმო ფინანსური დარღვევების გამოფენა, ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ის ფინანსური დარღვევები, რომლებიც უპირატესად ფირმაში ხდება და რომლებიც იწვევენ, როგორც საფირმო, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის დანაკარგებს. მათ მიეკუთვნება:

1. დანაშაული სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ;
2. დანაშაული ფულად-საკრედიტო სფეროში;
3. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში;
4. დანაშაული სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ.

ეკონომიკური დარღვევების დასახელებული ჯგუფები მოიცავენ რამოდენიმე ათეული სახის დარღვევას, რომელთა ერთი ნაწილი პირდაპირ გვამცნობს ფინანსურ დარღვევაზე, მეორე კი ირიბად გულისხმობს მას.

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მოიცავს [1, გვ. 87-100]: კანონიერი სამენარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლას, მიწასთან დაკავშირე-

ბული გარიგებების უკანონო რეგისტრაციას, უკანონო სამენარმეო საქმიანობას, უკანონო ცრუ მენარმეობას, ფულის გათერთებებს, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობას და ქონების შექმნას, ფლობას ან გასაღებას, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევას, სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებას, ფალსიფიკაციას, ფალსიფიცირებული ნივთის უკანონო გადაზიდვას ან გასაღებას, მარკირებას და ქვემდებარე აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებას და რეალიზაციას, ყალბი აქციზური მარკების დამზადებას და რეალიზაციას, სამენარმეო საქმიანობისთვის საქონლის ტრანსპორტირებას სასაქონლო ზედნადების გარეშე, ყალბ რეკლამას, ინსაიდერული ინფორმაციის უკანონო შეგროვებას და გამოყენებას, ბუღალტრული აღრიცხვის უკანონო დარღვევას, უკანონო ქმედებებს გადახდისუუნარობისას, ქონების გადამალვას მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგებით, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევას გადახდისუუნარობისას, გადახდისუუნარობისას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეუტანლობას და მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეურვისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევას.

ღანაშაული ფულად-საკრედიტო სფეროში აერთიანებს შემდეგ დარღვევებს [1, გვ. 100-102]: კრედიტის უკანონო მიღებას, ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება-გასაღება ან გამოყენებას, ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენებას, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებას და გასაღებას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესის დარღვევას.

ღანაშაული საწინანსო საქმიანობის სფეროში მოიცავს [1, გვ. 102-105]: საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევას, საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქა-

რთველოში დაუბრუნებლობას, საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევას, საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობას, მომხმარებლის მოცუებას.

დანაშაული სამაჟარგო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ. დანაშაულის ამ ჯგუფში შედის [1, გვ. 105-107]: უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, გულგრილობა, კომერციული მოსყიდვა.

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, ფინანსური დარღვევები და დანაშაულობები მეტად მრავალფეროვანია. ხშირად ისინი შერწყმულია პროფესიონალურ და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და მაშინ მათი იდენტიფიკაცია კიდევ უფრო ძნელდება. მაგალითად, პროფესიონალური დამნაშავეები შესაძლებელია გაერთიანდნენ რაიმე ფორმით და მათ შეიძლება ჰქონდეთ ერთობლივი საერთო საშუალებები თანამდებობის პირთა მოსყიდვის მიზნით. ან კიდევ, სხვადასხვა პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის სფეროში მოქმედი კლანების უკანონო ქმედებები საქართველოში მიეკუთვნება ფინანსურ-ეკონომიკურ დამნაშავეობას, მაგრამ მათი მოქმედებების არეალი ისეთი მასშტაბურია, და, ხშირად, ისე დაკავშირებულია ხელისუფლების ორგანოებთან, რომ მათი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები ითვლება არა ეკონომიკურ, არამედ ორგანიზებულ დანაშაულად (ეს ხდება ფარმაცევტულ პროდუქციის შემოტანა-გაყიდვაში, ნავთობპროდუქტებში, საქონლის ხორცის და ქათმის შემოტანა-რეალიზაციაში და სხვა).

საერთოდ, ორგანიზებული დანაშაულის ცნება უფრო ფართო და მასშტაბურია, ვიდრე პროფესიონალური და ეკონომიკური დანაშაული. იგი მოიცავს ორივეს და კიდევ თანამდებობრივ დანაშაულსაც. ასე რომ, ეკონომიკური, ორგანიზებული და პროფესიონალური დანაშაულობების ასეთი ურთიერთჩართულობის გამო, ხშირ შემთხვევაში მისგან ეკონომიკურ-ფინანსური დანაშაულის იდენტიფიკაცია ძნელია.

ამის მიუხედავად არსებობს რამოდენიმე პრაქტიკული მიდგომა, რომელსაც იყენებენ ეკონომისტ-ექსპერტები და იურისტები

ფინანსურ (ბუღალტრულ) აღრიცხვაში დანაშაულთა კლასიფიკაციისთვის. თუმცა, უნდა ავლნიშნოთ, რომ ეს მიდგომები არ არის სრულყოფილი, რის გამოც მრავალი ფინანსური დარღვევის ინდეტიფიკაცია ვერ ხერხდება.

საქმე ისაა, რომ ექსპერტული გამოკვლევების უმრავლესობა არ ტარდება სათანადო ინფორმაციული ანალიზით, რის გამოც ვერ ხერხდება ფინანსურ დარღვევათა ნიშნების, სახეების და დარღვევათა საშუალებების დადგენა. ამის მიზეზი ძირითადად არის დამახინჯებული ინფორმაციის სისტემიზაციის არ- არსებობა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებით და სახეებით.

ფინანსური დარღვევების სახეები და დარღვევების მეთოდები რამდენამდე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ წყობაზე (სოციალისტური, საბაზრო თუ შერეული) და თვით საექსპერტო სამეურნეო ერთეულის სტატუსზე. სოციალისტურ წყობაში თითქმის ყველა საწარმოში ფინანსური დანაშაული მყლავნდებოდა გეგმების შესრულების ხელოვნურად გაზრდილ შეფასებაში. ქვეყნის მასშტაბით ამის მიზანი იყო სისტემის პრესტიჟის ხელოვნური შენარჩუნება, სამეურნეო ერთეულისთვის კი მისი თანამშრომლების პრემირება გეგმის შესრულებისთვის და გადაჭარბებისთვის. ძირითად შემთხვევაში ამის „მიღწევა“ ხდებოდა სხვა მაჩვენებლების დამახინჯებით, კერძოდ, ვითომდა გეგმის შესრულება-გადაჭარბებაზე მათი „მიზმი“. მაგალითად, თუ მეტი პროდუქცია დამზადდა, მაშინ მასალაც მეტი უნდა დახარჯულიყო, ამიტომ ამ ვითომდა „მეტი პროდუქციის“ დამზადებისთვის წინასწარ იყო გათვალისწინებული „მასალების ქურდობა-დატაცების“ მუხლში მისი გარკვეული რაოდენობა, რომელიც პროდუქციის გეგმის ფიქტიური შესრულებისას ჩამოინერებოდა არა მასალების დატაცება-ქურდობის მუხლით, არამედ პროდუქციის გამოშვების მუხლით. გარკვეულწილად ეს სქემა ახლაც მუშაობს სახელმწიფო ორგანიზაციებში, რასაც ვერ ვიტყვით კერძო სამართლის სუბიექტებზე.

კერძო სამართლის სამეურნეო ერთეულებში ამის საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი. კერძოდ, აქ მოჩვენებითი ზრ-

დის მიმართულებით წარმოებული მიწერები შეიცვალა, ფინანსური არღიცხვის ზოგიერთი მაჩვენებლის ასევე მექანიკური შემცირებით. მაგალითად, რიგი მენარმეები ცდილობენ შეამცირონ გადასახადების და სხვა სავალდებულო შენატანების მოცულობა ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში. ამას ისინი აღწევენ გამოშვებული პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოების) რაოდენობის და ღირებულების აღრიცხვის მონაცემების გაყალბებით. ასეთი არააღრიცხული პროდუქციის სარეალიზაციოდ იქმნება „ჩრდილოვანი სექტორი“, რომელიც მიჩქმალულია გადასახადების გადახდისაგან. ხშირად ანგარიშგებაში არ ხვდება პირადი, მაგრამ დასაბეგრი შემოსავლებიც (მაგალითად, პრემია). ბიზნეს-ერთეულებში, პერიოდულად ადგილი აქვს ზოგიერთი მაჩვენებლის (მაჩვენებლების) ამაღლებასაც. ამ ქმედების მიზანი არის ან სამეურნეო ერთეულის ფინანსური მდგომარეობის შელამაზება ინვესტორის, დამფინანსებელი ბანკის და აქციონერების თვალში, ან საგადასახადო ვალდებულებების შემცირება. პირველს ემსახურება აქციონერების, ბანკების და ინვესტორებისთვის შედგენილი ფინანსური ანგარიშგება, მეორეს ფისკალური და მაკონტროლებელი ორგანოებისთვის სამეურნეო სუბიექტის ოფიციალური ბუღალტრული ანგარიშგება. ამის გარდა, ნებისმიერ სამეურნეო ერთეულში არსებობს ანგარიშგების სხვა ფორმაც. ეს არის მმართველობითი ფინანსური ანგარიშგება. იგი განკუთვნილია მხოლოდ ფირმის ხელმძღვანელობისთვის, მისი მესაკუთრისთვის. მასში მოცემული ინფორმაცია არ არის დამახინჯებული და იგი იძლევა სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის რეალურ სურათს, მაგრამ ეს ინფორმაცია არ არის ოფიციალური და მასზე არ მიუწვდებათ ხელი მაკონტროლებელ ორგანოებს.

იმისათვის რომ ექსპერტებმა შეძლონ საექსპერტოდ აღებულ ოპერაციაში (ან მის ფრაგმენტში) ყველა ფინანსურ დარღვევათა ამოცნობა, მათ უნდა ისარგებლონ არა მხოლოდ მათთვის წარდგენილი ოფიციალური ანგარიშგებით, არამედ მათ უნდა მოითხოვონ მოცემულ ოპერაციაზე მოცემულ სამეურნეო სიბიექტში არსებული ყველა პირველადი (ოპერატიული, მიმდინარე)

ინფორმაცია. საქმე ისაა, რომ ფირმის ფინანსურ (ბუღალტრულ) აღრიცხვაში სამეურნეო და ფინანსური ოპერაციები აისახება ჩანაწერების სახით და (ან) ბუღალტრული გატარებების სახით. ჩანაწერებს სამი ფორმა აქვთ [2, გვ. 76]:

1. სრული (მაკორექტირებელი) ჩანაწერები ავტომატიზირებული აღრიცხვისთვის;

2. პირველად დოკუმენტებში, მემორიალურ ორდერებში და უწყისებში შეტანილი ოპერაციების მოკლე აღწერები;

3. ნახევრადდაფარული ცნობები (მაგალითად, როცა ოპერაციის შინაარსი რამოდენიმე დოკუმენტშია დაფიქსირებული, ბუღალტრული გატარება კი ჩანერილია მათგან მხოლოდ ერთში, ანდა მხოლოდ დოკუმენტების რეესტრში).

ბიზნეს-სუბიექტების პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამეურნეო ოპერაციების აღწერის მეორე და მესამე ტიპი. სწორედ ისინი ქმნიან ეკონომიკური ოპერაციების დამახინჯების სასურველ პირობებს ბუღალტრულ გატარებებში მათი ასახვისას – ინფორმაციული ჯაჭვის პირველი რგოლიდან საბოლოო რგოლის – ბუღალტრული ანგარიშგების ჩათვლით. თუ ექსპერტებს ეს საწყისი ინფორმაცია ხელთ არ ექნებათ, ამის გარეშე ისინი ვერ შეძლებენ მოცემულ ფინანსურ დარღვევათა მთელი სპექტრის აღმოჩენას და სწორ იდენტიფიცირებას. მაგრამ ამ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაშიც თუ ექსპერტი არ არის მაღალკვალიფიციური პროფესიონალი ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური მენეჯმენტის კუთხით, ანუ თუ მას არა აქვს სპეციალური ცოდნა და უნარი ამ მიმართულებით, ის ვერ შეძლებს ფინანსური დარღვევების გამოვლენას, და, რომც შეძლოს, ვერ იანგარიშებს იმ ზარალს, რაც ამ დარღვევამ მისცა ქვეყნის ბიუჯეტს.

ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების ნებისმიერი დარღვევა ამ სფეროში არსებულ ნორმატიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ ნორმების და ნორმატივების დარღვევის შედეგს წარმოადგენს. სწორედ ამ ვითარებას ვუდებთ საფუძვლად სააღრიცხვო მონაცემების დარღვევების სახეების ჩვენს მიერ შედგენილ სისტემიზაციას. ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს

მოვახდინოთ მათი სახეების მიხედვით დაჯგუფება და მივცეთ ყველა იმ დარღვევას შეფასება, რომელიც კი ექსპერტს თავის საქმიანობაში შეიძლება შეხვდეს.

ასეთი დაჯგუფების პირველ საფუძვლად ჩვენ წარმოგვიდგენია ინფორმაციის აღრცხვის განყოფილება. ესენია:

I. ძირითადი საშუალებები, მასალები და არამატერიალური აქტივები;

II. მუშა-მოსამსახურებთან ხელფასით და სხვა გადასახდელებით ანგარიშსწორება;

III. პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაზე განუვლი ხარჯები;

IV. მომწოდებლებთან, მყიდველებთან, მოიჯარებებთან და შემკვეთებთან ანგარიშსწორებები;

V. ფონდები, რეზერვები და ფინანსური შედეგები;

VI. ბიუჯეტთან და ბიუჯეტისგარეშე ფონდებთან ანგარიშსწორების სხვა განყოფილებები (მათი რიცხვი დამოკიდებული იქნება კომპანიის პროფილზე).

სააღრიცხვო ინფორმაციის დამახინჯების სისტემიზაციის მეორე კრიტერიუმად მივიჩნევთ იმ ოპერაციის სახეს, რომლის არასწორი, დამახინჯებული ფიქსაცია მოხდა ბუღალტრულ აღრიცხვის ჩანაწერთა სისტემაში. ამ ოპერაციებს ჩვენ ვჯგუფად ვყოფთ:

1. ოპერაციების სახეები (სამეურნეო, საფინანსო, სააღრიცხვო);

2. ოპერაციები, რომლებიც სამეურნეო სახსრების (ან მათი წყაროების) შემოსავალში აღებასთან, ანდა მათ ჩამოწერასთან არიან დაკავშირებულნი;

3. დანარჩენი ოპერაციები.

ამის გარდა, დარღვევა-დამახინჯებათა კლასიფიცირებისთვის ვთავაზობთ სააღრიცხვო დოკუმენტების სახეებსაც, რომლებშიც შეიძლება მოხდეს ჩანაწერის ფალსიფიცირება. ჩვენი აზრით, თვით ეს დოკუმენტები ვნიშნით უნდა დავაჯგუფოთ:

1. დოკუმენტები აღრიცხვა-ანგარიშგების სტადიების მიხედვით;

2. დოკუმენტები გამოყენების სფეროების მიხედვით;

3. დოკუმენტები ტიპიზაციის ხარისხის მიხედვით.

პირველ ჯგუფში შევა:

➤ სამეურნეო ოპერაციის შესასრულებლად საჭირო დოკუმენტები;

➤ ამ დოკუმენტების სააღრიცხვო წიგნები;

➤ პირველადი დოკუმენტების რეგისტრები;

➤ სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის რეგისტრები;

➤ ნაკრები აღრიცხვის რეგისტრები;

➤ საკონტროლო ფუნქციების შესასრულებელი დოკუმენტები.

მეორე ჯგუფში გაერთიანდება:

➤ დარგთაშორისი, დარგობრივი და უწყებრივი დოკუმენტები.

მესამე ჯგუფში შევა:

➤ ტიპური დოკუმენტები;

➤ ტიპურ დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული დოკუმენტები;

➤ ნებისმიერი სხვა დოკუმენტები.

ფინანსურ დარღვევათა იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს იმ დოკუმენტის რეკვიზიტების მიხედვითაც, რომელ დოკუმენტშიც მოხდა დამახინჯება, კერძოდ გაყალბდა უშუალოდ ამ დოკუმენტის რეკვიზიტი, თუ წინა — სასაფუძვლო დოკუმენტიდან გადმოსული რეკვიზიტი.

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ჩვენი წინადადებები აბსოლუტურად სრულყოფილია, მაგრამ, რადგან საფინანსო-ეკონომიკური ექსპერტიზის მეთოდოლოგიური საკითხები საქართველოში მეცნიერული თვალსაზრისით ნაკლებად დამუშავებულია, ვთვლით, რომ ამ საკითხზე მსჯელობა ღირს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2012.
2. Е. П. Жарковская. Финансовый анализ деятельности коммерческого банка, М., ОМЕГА-Л, 2010, с. 76.

SUMMARY

Chaduneli Gela

FINANCIAL IMPROPRIETIES, THEIR IDENTIFICATION AND CLASSIFICATION IN BUSINESS

The article “Financial Improprieties, Their Identification and Classification in a Business” discusses those economic violations which are called financial Improprieties. The article states that it is quite difficult to separate financial improprieties with other form of irregularities as well as to distinguish state and company’s internal violations since frequently they are mixed . The article defines all violation groups fixed in Criminal Code of Georgia and lists improprieties included in it. According to the author’s viewpoint, those approaches are not enough for the perfect identification and detection of financial improprieties. It is necessary to increase the information submitted for assessment (that is the basis of improprieties) and make its deep financial analysis. The author believes that only the high qualified in accounting and finances expert is able to do it.

ეკონომიკურ დანაშაულთა პროფილაქტიკაში შიდასაზღვრო კონტროლის თანამედროვე პრობლემები

გოგოჭური დავითი
სტუ დოქტორანტი

ბიზნესის სფეროში კონტროლი გამოიყენება ეკონომიკურ დანაშაულთა გამოსავლინებლად და აღსაკვეთად. ეკონომიკური დანაშაულის ცნება სამართლის კატეგორიაა. ამ ცნებამ საქართველოში ნორმატიული განსაზღვრა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 კარის სახელწოდების – „ეკონომიკური დანაშაულის“ – შინაარსიდან გამომდინარე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ეკონომიკურ დანაშაულად მიიჩნევა [1]:

1. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ;
2. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ;
3. დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში;
4. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში;
5. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ.

თითოეულ ამ ჯგუფში გაერთიანებულია 10-15 და ხშირად უფრო მეტი დანაშაულის სახეები, რომლებიც ხდება ორგანიზაციებში, ოჯახებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სხვაგან. ესაა: ქურდობა, მითვისება, თაღლითობა, დაზიანება, გაფლანგვა, მისაკუთრება, უკანონო საქმიანობა, ცრუ მეწარმეობა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, კონკურენციის შეზღუდვა, ფალსიფიკაცია, ყალბი რეკლამა, ყალბი მარკების დამზადება, ბუღალტრული აღრიცხვის წესების დარღვევა, გადასახადის გადახდისგან თავის არიდება, ყალბი ფულის ან ყალბი ფასიანი ქაღალდის დამზადება, მომხმარებლის მოტყუება, კომერციული მოსყიდვა, ქონების გადაძალა და მრავალი სხვა.

როგორც ამ ჩამონათვლიდან ჩანს, ეკონომიკურ დანაშაულთა სახეები და ქვესახეები მრავალფეროვანია. ამ დანაშაულთა 90-95%, თუ მეტი არა, შეიძლება განხორციელდეს ფირმაში, ამიტომ შეიძლება კონტროლის მკვლევარმა აუცილებლად უნდა იცოდეს მათი შინაარსი და ის ზარალი, რაც თითოეული მათგანის დადგომისას შეიძლება მიიღოს ფირმამ და საბოლოო ჯამში ქვეყანამ.

ეკონომიკურ დანაშაულთა მასშტაბი საქართველოში მეტად დიდია. იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკური დანაშაულობის მასშტაბები არ ექვემდებარება ზუსტ რაოდენობრივ აღრიცხვას, რადგან ჩადენილი დანაშაულობების ორი მესამედი სხვადასხვა მიზეზის გამო არ არის ასახული ოფიციალურ სტატისტიკაში, ცალკეული გამოკვლევების ბაზაზე მისი ზრდის შემამფოთებელი ტენდენცია შეიმჩნევა. ასე მაგალითად, ქართველ მეცნიერ დ. წულაიას გამოკვლევით მარტო 1996-2000 წლებში ქვეყანაში ეკონომიკურ დანაშაულობათა საერთო რაოდენობა 2-ჯერ, ხოლო საბანკო სისტემაში გამოვლენილ დანაშაულობათა რაოდენობა 22-ჯერ გაზრდილია. რაც შეეხება ამ მიზეზით მიღებულ ზარალის თანხას, თუ 1998 წელს იგი შეადგენდა 5394315 ლარს, 2000 წელს შეადგინა 24161478 ლარი [2, გვ. 26].

იგივე გამოკვლევით 2000 წელს აღრიცხულია 1391 დანაშაულის ფაქტი. აქედან 38 მექრთამეობა, 34 – საბაჟო წესების დარღვევა, 350 – მითვისება, გაფლანგვა და თაღლითობა, 95 – გადასახადებისთვის თავის არიდება, 180 – თანამდებობრივი დანაშაული, 31 – ყალბი ფულის ან ყალბი ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება, 83 – ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გამოყენება ან გასაღება, 343 – აქციზური მარკის გარეშე საქონლის რეალიზაცია, 151 – ფალსიფიკაცია და 86 – სხვა დანაშაული. ამასთან, თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური დანაშაული ძირითადად იარაღის ვაჭრობასა, სათამაშო ბიზნესში და ნარკობიზნესში ხდება, საქართველოში იგი მთელ ეკონომიკაზე ბატონობს.

ეს ბატონობა დაიწყო საქართველოში ეკონომიკური რე-

ფორმების დაწყების დღიდან, რადგან ის რეფორმები არ იყო გამაგრებული აუცილებელი და საკმარისი საორგანიზაციო და სამართლებრივი ნორმებით. მცდარი აღმოჩნდა ის თეზისიც, რომ საბაზრო მექანიზმი თვით დაარეგულირებდა ეკონომიკას და იგი იქნებოდა ჩრდილოვანი და კრიმინალური მოვლენების გადალახვის საშუალება. შედეგად, სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი კონტროლის გამო, შეიქმნა დანაშაულებრივი ჯგუფების და ცალკეული პირების ადვილად გამდიდრების შესაძლებლობა, რომელთაც თავიანთ ხელში მოაქციეს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი თანხები. საქართველოს კანონმდებლობის არასრულყოფილება და ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლობაში არსებული უმნიშვნელო ხარვეზებიც კი მათ უმალ გამოიყენეს არაკანონიერი პირადი გამდიდრებისთვის. სამწუხაროდ, ეს პროცესი ახლაც გრძელდება.

ამ ეკონომიკურ დანაშაულთა პრევენციის ერთადერთი გზა არის კონტროლის გაძლიერება. ეს ეხება სახელმწიფო კონტროლსაც და შიდასაფერმო კონტროლსაც. მაგრამ კონტროლის გზაზე ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლაში მრავალი პრობლემა იჩინს თავს. მათ რიცხვშია:

1. ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის საერთო კონცეფციის არქონა;
2. ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის სტრატეგიული პროგრამის არქონა;
3. საერთო საკანონმდებლო პარიტეტის ჩამოყალიბების პრობლემა;
4. ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის უფრო ეფექტური მოდელის შექმნის საჭიროება, ვიდრე დღეს მოქმედი სისხლისსამართლებრივი მოდელია;
5. დანაშაულობასთან ბრძოლის მწარმოებელი შესაბამისი სუბიექტის ფუნქციათა განსაზღვრა;
6. სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფის პრობლემა;
7. დანაშაულობასთან ბრძოლის მეცნიერული მიღწევებით უზრუნველყოფის პრობლემა;

8. სათანადო კადრებით მომზადების პრობლემა;

9. ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის პრობლემა და სხვ.

თითოეული აქ დასახელებული პრობლემა მოიცავს საკითხთა საკმაოდ ფართო წრეს.

ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის კონცეფციის შემუშავებასა და მის ცხოვრებაში გატარებას აქვს უდავოდ დიდი მნიშვნელობა. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს, სამწუხაროდ, არ გააჩნია ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის ერთიანი კონცეფცია. არის მხოლოდ დანაშაულობასთან ბრძოლის ცალკეული უწყებრივი კონცეფციები (მათ შორის მხედველობაში გვაქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციისა და ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მიერ შემუშავებული კონცეფცია და ზოგიერთი რეგიონული პროგრამა დანაშაულობასთან ბრძოლის განმტკიცების თაობაზე). ეს კონცეფციები სქემატური ხასიათისაა და არ შეიცავენ ყველა ძირითად კონცეპტუალურ დებულებათა დეტალურ გადმოცემას და თუ შეიცავენ, მათი განხორციელების ალბათობის ხარისხი, უსახსრობის გამო, მეტად დაბალია. ამრიგად, ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის კონცეფციის უქონლობა საშუალებას არ იძლევა სწორად განვსაზღვროთ ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის მიზნები, პრინციპები და ძირითადი მიმართულებები.

სადღეისოდ, ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის სტრატეგიული დარგობრივი პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის პრობლემაც უფრო მეტად აქტუალური გახდა. თანაც, სამომავლო პროგრამებში უნდა დომინირებდეს სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის საკითხები.

კანონთა პაკეტის სწრაფი ჩამოყალიბების ამოცანაც წამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის პირველი რიგის პრობლემად. ასეთი დასკვნის საფუძველია პროფილაქტიკური სანქციის პრიორიტეტის აღიარება, რაც მდგომარეობს ახალი ეკონომიკური წესის ნორმატი-

ულ რეგულირებასა და მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზების შევსებაში.

ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების (ანუ სუბიექტების) გააქტიურება და სრულყოფა. საქართველოს ეკონომიკის სფეროს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე უპრიანად გვეჩვენება ეკონომიკის დაცვის ერთიანი მაკოორდინებელი ცენტრის შექმნა, რომელიც მოიცავს ეკონომიკის სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის ამჟამად არსებულ სუბიექტთა მთელ სისტემას. ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის სადღეისო სისტემა (იგულისხმება მებრძოლი სამსახურები), როგორც ამას გვიჩვენებს სოციალური პრაქტიკა, თავისი სხვადასხვა უწყებაში დაქსაქსულობის გამო ან დამოუკიდებლად არსებობისა და ერთიან სისტემაში არაკოორდინირებულობის გამო, ვერ პასუხობს ახალ მოთხოვნებს.

ეკონომიკურ სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის მეცნიერული უზრუნველ-ყოფის პრობლემაც არ შეიძლება ჩავთვალოთ სრულად გადაწყვეტილად. სადღეისო ამოცანებიდან გამომდინარე საჭიროა ახალი მრავალი ეკონომიკურ-სამართლებრივი გამოკვლევების ჩატარება ეკონომიკის სფეროში და მიღებული შედეგების გამოქვეყნება, რაც შესაძლებლობას მისცემს სამართალდაცვის და მაკონტროლებელ ორგანოებს დაგეგმონ ეფექტური ხასიათის პროფილაქტიკური ღონისძიებები დანაშაულობის შესამცირებლად. ასევე მნიშვნელოვან პრობლემად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკის სფეროში დანაშაულობაზე მონიტორინგის (დაკვირვების, შეფასების, პროგნოზის) ეფექტური სისტემების შექმნა.

ეკონომიკურ სფეროში დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემებში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს კადრების მომზადება. სახელდობრ, ეს უკავშირდება კადრების შერჩევის, მომზადების, დამაგრებისა და აღზრდის კონცეფციას. ასევე ყველაზე აქტუალურ თანამედროვე პრობლემას წარმოადგენს თვისობრივად ახალ სამართლებრივ საფუძველზე შესაბამისი საერთაშორისო

თანამშრომლობის პრობლემის მოგვარება. ევროპის საბჭოს კონვენციასთან რაც შეიძლება სწრაფი შეერთების აუცილებლობასთან ერთად – რაც დაკავშირებულია დანაშაულობრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის „გათეთრების“ (ლეგალიზაციის), გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის საკითხთან – საჭიროა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებთანაც მჭიდრო თანამშრომლობა.

კონტროლინგის წარმოშობასთან ერთად, რომელიც უდავოდ დადებითი ფაქტია კონტროლის პროცესის გატარებაში, უკანასკნელ წლებში, ამ პროცესს შეექმნა პრობლემებიც. მათ კონტროლის თანამედროვე პრობლემები ეწოდებათ და ისინი გლობალიზაციამ წარმოშვა. ეს პრობლემებია [3, გვ. 901]:

1. კონტროლის მექანიზმის ადაპტირება ეროვნულ თავისებურებებთან;

2. პერსონალის კონტროლის პრობლემა;

3. მომხმარებლებთან ურთიერთობების კონტროლის პრობლემა;

4. კორპორატიული მართვის პრობლემა.

ეროვნულ თავისებურებებთან კონტროლის მექანიზმის ადაპტირების პრობლემის წინაშე დგანან გლობალური კომპანიები (ტრანსნაციონალური კომპანიები). მათ მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში აქვთ ფილიალები. ამ ქვეყნის არა მხოლოდ მოსახლეობის ჩვევები და ტრადიციებია ურთიერთგანსხვავებული, რასაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს, არამედ ამ ქვეყნებს აქვთ განსხვავებული კანონმდებლობაც – ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს მუშა-ხელის შეყვანას სხვა ქვეყნიბიდან, ზოგიერთი კრძალავს ვალუტის გატანას, ზოგიერთი კრძალავს ფირმების დაკეტვას (კრიზისულ სიტუაციაშიც კი) და ა. შ. მაკონტროლებელ პიროვნებას, ცხადია ევალება ანგარიში გაუწიოს ამ ეროვნულ თავისებურებებს და მოარგოს იგი მათ.

პერსონალის კონტროლის პრობლემები იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელ დროს მეტად გამწვავდა შემდეგი სამი საკითხი:

1. სამუშაო ადგილის კონფიდენციალობა;
2. სამუშაო ადგილზე ქურდობა;
3. სამუშაო ადგილის უსაფრთხოება.

სამუშაო ადგილის კონფიდენციალობის საკითხის არსი იმა-შია, რომ დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის წარმოიშობა დაპირისპირება დაქირავებულის საქმიანობის კონფიდენციალო-ბის შენარჩუნებაში. განვითარებული ქვეყნების დამქირავებელი კომპანიები აკონტროლებენ დაქირავებულ ადამიანების მიერ სა-მუშაოს პერიოდში სხვა საქმეზე დაკარგულ დროს, რომელიც მათ მილიონები უჯდებათ. ეს არის დაქირავებულების ტელეფონებზე საუბრები, ინტერნეტის გამოყენება, ფაილების დათვალიერება, ელექტრონული წერილების დათვალიერება და შენახვა და ა. შ. დადგენილია, რომ ამერიკის დამქირავებელი კომპანია ასეთი წესით კვირაში ერთ მუშაკზე დაკარგულად ანგარიშობს 8,3 საა-თს, ე. ი. ერთ სამუშაო დღეს [3, გვ. 904].

სამუშაო ადგილზე ქურდობაში იგულისხმება მუშაკის მიერ კომპანიის კუთვნილი რაიმე ქონების არასანქცირებული გამო-ტანა პირადი სარგებლობისთვის. ინფორმაციული ტექნოლო-გიების მეშვეობით ხდება უფრო დიდი დანაშაულებიც, რაც ეხება ანგარიშებიდან დიდი მოცულობის სახსრების მოპარვას. ეს პრობ-ლემა ადრე არ არსებობდა, რადგან არ არსებობდა კომპიუტ-ერული ტექნოლოგიები და კომპანიების ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგებები ხდებოდა კომპიუტერის გარეშე (ჟურნალებში). ამ მდგომარეობამ ცხადია, მეტად დიდი პრობლემების წინაშე დააყ-ენა მენეჯერები.

სამსახურებში ქურდობის შემთხვევებს სხვადასხვა სპეციალ-ისტები სხვადა-სხვანაირად ხსნიან. ჩვენს საკვლევ თემასთან მიმართებაში ჩვენთვის საინტერესოა ექსპერტების აზრი, რომ-ლებიც თვლიან, რომ სამსახურში ადამიანები იპარავენ იმიტომ, რომ ქურდობაზე უბიძგებთ არასათანადო სუსტი კონტროლი და შესაბამისად ქურდობისთვის შექმნილი სასიკეთო პირობები. ისი-ნი იძლევიან მუშაკთა მიერ ქურდობის შესამცირებლად გამოყ-ენებულ კონტროლის რეკომენდაციებსაც (ცხრ. 1).

კომპანიაში ქურდობის შემცირების კენ მიმართული კონტროლის რეკომენდებული მეთოდები [3, გვ. 904]

გამაფრთხილებელი კონტროლი	მიმდინარე კონტროლი	უკუკავშირის მეშვეობით განხორციელებული კონტროლი
მუშაკის სამსახურში მიღებისას გულდასმით შემოწმება	თანამშრომლებს მოვექცეთ პატივისცემით	შევეცადოთ, რომ მუშაკებმა იცოდნენ ქურდობის ყველა შემთხვევა (გარდა ქურდის გვარ-სახელისა)
ქურდობის ზუსტი განმარტება და დისციპლინირებული დასჯის პროცედურების განსაზღვრა	ავუხსნათ თანამშრომლებს თუ რა ზიანს აყენებს ფირმას ქურდობა	ვისარგებლოთ პროფესიონალი გამომძიებლების სამსახურით
ქურდობის აღმკვეთი პოლიტიკის შემუშავებაში თანამშრომლების ჩართვა	თანამშრომლებისთვის რეგულარულად იმ წარმატების გაცნობა, რასაც ფირმამ მიაღწია ქურდობის აღკვეთაში	შევეცადოთ შევცვალოთ კონტროლის პოლიტიკა
მუშაკებისთვის ქურდობის აღსაკვეთი პოლიტიკის გაცნობა	დავაცენით კომპანიაში ვიდეოთვალი	შევაფასოთ კომპანიის მენეჯერის და თანამშრომლების ურთიერთობების ორგანიზაციული კულტურა
გავიგოთ პროფესიონალების შეხედულება ჩვენს კომპანიაში გამოყენებულ კონტროლის საშუალებებზე	კომპიუტერების დაცვის და ფილტრაციის საშუალებების დაყენება	-

რაც შეეხება მომხმარებლებთან ურთიერთობის კონტროლის პრობლემას, საზღვარგარეთის წარმატებული ფირმები ლამის ყოველ კვირას ატარებენ კლიენტების გამოკითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი ფირმის მომსახურებით. გლობალიზაციამ და კონკურენციის გაფართოებამ მომხმარებლებს დიდი არჩევანი მისცა. თუ ადრე საქართველოს მაცხოვრებელი საქონელს იყიდდა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე, მას შემდეგ რაც ქვეყანა ღია გახდა და ეკონომიკაც გაიხსნა, ქართველ მომხმარებელს ამ საქონლის ყიდვა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეუძლია (მით უფრო ელექტრონული კომერციის ეპოქაში). და, რა თქმა უნდა, ქართველი მომხმარებელი, ამ საქონელს იყიდის იმ ქვეყანაში და იმ კომპანიისგან, სადაც მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია (საქონლის ფასი, ხარისხი, ყიდვის-შემდგომი მომსახურება და სხვ.). აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ კომპანიები თავიანთ ერთ-ერთ უპირველეს მიზნათ მომხმარებელთა მომსახურების მაღალ ხარისხს ასახელებენ. მაგრამ დასახელება ერთია, შესრულება კი მეორე. ამის გაკონტროლება ხდება მოგების სერვისული ჯაჭვის მეშვეობით, რომლიდანაც ირკვევა, რომ თუ კომპანიის თანამშრომლები მართლაც მაღალხარისხოვან მომსახურებას უწევენ თავის თანამშრომლებს, მაშინ კომპანიას გაეზრდება რეალიზაციის მოცულობა და აქედან გამომდინარე, მოგებაც.

კორპორაციული მართვაც მმართველობითი კონტროლის ერთ-ერთი თანა-მედროვე პრობლემაა. კორპორაციული მართვა ეს არის სისტემა, რომელიც გამოიყენება კორპორაციის მესაკუთრეების ინტერესების შესაბამისად მის სამართავად. ეს საკითხი კონტროლის პრობლემად იმიტომ იქცა, რომ საზღვარგარეთის მთელი რიგი მსხვილი, პრესტიჟული კომპანიები მრავალ ფინანსურ მაქინაციებში და სხვადასხვა „სკანდალებში“ აღმოჩნდნენ ჩართულნი. ამან დააყენა მათი ფინანსური ანგარიშგების და დირექტორთა საბჭოების რეფორმირების საჭიროების საკითხი.

კორპორაციების დირექტორთა საბჭოები იქმნება როგორც კო-

რპორაციის მენეჯმენტიდან დამოუკიდებელი გუნდი, რომელთაც უნდა დაიცვან აქციონერთა ინტერესები. სინამდვილეში ისინი ფაქტიურად არ ასრულებენ ამ როლს. ხშირად მჭიდრო კონტაქტში არიან კორპორაციის მენეჯერებთან და ზრუნავენ არა აქციონერების, არამედ საკუთარი ინტერესების დასაცავად.

პრობლემები არის საგადასახადო კონტროლშიც. ამის შესახებ წერენ ეკონომისტებიც და იურისტებიც. მეცნიერი ირაკლი გაბისონია, კერძოდ, ორ პრობლემას ასახელებს. პირველ პრობლემად იგი მიიჩნევს საგადასახადო ორგანოების მიერ არასწორად ნაწარმოები საგადასახადო აღრიცხვის გამო დარიცხულ ჯარიმებს, რომლის მიზეზით 2010 წელს საქართველოს სამინისტროში 1362 საჩივარი შევიდა. მეორე პრობლემად იგი ასახელებს 2011 წლის 8 დეკემბერს საგადასახადო კოდექსში იმ ცვლილების განხორციელებას, რომლის ძალითაც დაინერგა საგადასახადო მონიტორინგი, ანუ გადასახადის გადამხდელ საწარმოში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის 6 თვემდე ვადით მიმაგრება, რათა მის მიერ აღებული ინფორმაცია ამ ორგანომ შემდეგ გამოიყენოს პირის საგადასახადო შემონებისას. მეცნიერი ირაკლი გაბისონიას აზრით, რომელსაც ჩვენც სრულიად ვეთანხმებით, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელს 6-თვიანი (და ხშირად მეტი) მიმაგრება გადასახადის გადამხდელ საწარმოში დაძაბავს მათ შორის ურთიერთობას. „იგი ეწინააღმდეგება პრინციპს, რაც სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს შორის ურთიერთგაგებასა და ურთიერთთანამშრომლობაში მდგომარეობს“ [4, გვ. 77].

ცხადია, ეკონომიკურ დანაშაულთა კონტროლის პრაქტიკაში არის სხვა პრობლემებიც. ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ ძირითად პრობლემებზე გაგვემახვილებინა ყურადღება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2012.
2. დ. წულაია, ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის ზოგიერთი კრიმინოლოგიური პრობლემა, თბ., 2004.
3. Стивен Роббинз, Мэри Коульгер. Менеджмент, М., 2007.
4. ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, თბ., 2012.
5. ევროპის საბჭოს ეს კონვენცია მიღებულ იქნა 1990 წელს, რაც შეეხება „დანაშაულობის თავიდან აცილების დარგში სახელმძღვანელო პრინციპებს“ იგი მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-7 კონგრესის მიერ ჯერ კიდევ 1985 წელს.

SUMMARY

Davit Gogochuri

**The Contemporary Problems of Companies
internal Control in Prevention of Economic Crime**

As indicates the headline, the article “The Contemporary Problems of Companies’ internal Control in Prevention of Economic Crime” considers problems that face companies during the way of identification and fighting economic offences.

The author expresses an opinion that prevention of the economic crime is only possible with control and it should take place both as at macro, so micro levels.

The article emphasizes the fact that there are multiple problems that hinders from identification of economic crime and its prevention. Those are: professional staff problem, lock of general concept of struggle against the crime, lock of access to relevant information, International Corporation problem, corporate management, global and the tax control problem etc.

The author believes that the controlling and law enforcing bodies have to insure reduce of those problems. Otherwise the neither company’s internal nor state control will be effective.

კომპანიის თანამშრომლები. როგორც სტიმულოვებები

ვასილ ხიზანიშვილი

გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ
მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

კომპანიის თანამშრომლები განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ სტიმულოვებულ შორის, რამდენადაც ისინი მჭიდროდ არიან ინტეგრირებულნი ფირმაში. აქციონერებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ფლობენ ფირმის ყველა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, პერსონალი წარმოადგენს კომპანიის ადამიანურ რესურსს და ფაქტობრივად სწორედ ის აყალიბებს კორპორაციის ფიზიკურ ბირთვს, და ამავე დროს წარმოების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

კორპორაციის თანამშრომლების, როგორც დაინტერესებული მხარის უკეთ დასახასიათებლად, მნიშვნელოვანია მათსა და კორპორაციას შორის დამოკიდებულების ორი, სამართლებრივი (ლევალური) და ეკონომიკური ასპექტის ნათლად წარმოჩენა:¹

ლევალურ დონეზე კომპანიასა და მის თანამშრომლებს შორის ჩვეულებრივ არსებობს თავისებური სახის კონტრაქტი, ორივე მხარის გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით. მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მოცემული ქვეყნისა თუ საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობით არის უზრუნველყოფილი, ხელს უწყობს კომპანიასა და მის თანამშრომლებს შორის არსებულ დიდი რაოდენობის საკითხის შესახებ იურიდიულად კოდიფიცირებულ გადაწყვეტილებების მიღებას. ამგვარი ურთიერთობები განსაკუთრებით თვალსაჩინოა დასავლეთ ევროპისათვის, რადგან აქ ჯერ კიდევ ინდუსტრიული რევო-

1 Carroll, A.B., "The four faces of corporate citizenship" Business and Society Review, 1998, 100/1:P.1-7

ლუციის გარიჟრაჟამდე დიდი ხნით ადრე აღნიშნულ სუბიექტებს შორის არსებული დამოკიდებულებანი უკვე წარმოადგენდა სამ-თავრობო რეგულაციების საგანს.

ლეგალური ურთიერთობები წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ფირმის დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთობების ეკონომიკური ასპექტისათვის.¹ ფირმასა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობები ხასიათდება უზარმაზარი რაოდენობის გარე ფაქტორების არსებობით ორივე მხრიდან, ე.ი. საუბარია თითოეულისათვის პოტენციურად შესაძლო იმ ხარჯებზე, რომლებიც არ არის შეტანილი შრომით ხელშეკრულებაში. ეს ლატენტიური ანუ ფარული ხარჯები შეიძლება ხასიათდებოდეს კომპანიის აქტივების სპეციფიკურობით, რაც ნიშნავს თანამშრომლების მხრიდან საკუთარი დროისა და ძალისხმევის ინვესტირებას კომპანიის აქტივების განვითარებაში ცალკეული დამსაქმებლის სასარგებლოდ და პირიქით. სპეციფიკური ბუნების ამგვარმა ხარჯებმა შესაძლოა წარმოშვას ის, რაც ბიზნესის ეთიკაში მორალური რისკების სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნული რისკების არსებობა მოსალოდნელია ორივე მხრიდან, რაც წარმოაჩენს ეთიკურ საკითხთა ფართო სპექტრს შიდა ურთიერთობაში.

მეტი თვალსაჩინოებისათვის შევხვით რამოდენიმე ასპექტს:

- სამსახურში მონყობა სამუშაოს მაძიებლის მხრიდან საჭიროებს სხვადასხვა სახის სერიოზულ გადაწყვეტილებების მიღებას, რაც უკავშირდება მის საყოფაცხოვრებო გარემოს ცვლილებებს, ასევე — მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს განათლებასა და სპეცტრეინინგების სფეროში და სხვ.

- კომპანიისათვის ხანგრძლივი დროით მუშაობა წარმოშობს მნიშვნელოვან დამოკიდებულებას ამავე კომპანიაზე, ე.ი. დამსაქმებელი შეიძლება გახდეს დასაქმებულის ფინანსური ბაზისი. ანალოგიურად, თანამშრომელი ცოდნის დიდი ნაწილით შესაძლებელია დაუკავშირდეს ერთ კონკრეტულ კომპანიას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამგვარმა მეტისმეტობამ შესაძლოა

1 Carroll, A.B. and Buchholz, ics and Stakeholder Management, 4th edn. Cincinnati: South-Western College., 2000

კატასტროფული გავლენა იქონიოს მის შემდგომ კარიერაზე.

- სხვა ასპექტია სამსახურის ქონა, რაც დასაქმებულის შრომითი საქმიანობის უმეტეს პერიოდს მოიცავს, და სადაც მრავალთათვის იგი არ წარმოადგენს მხოლოდ ყოველდღიურ ყოფით რუტინას, არამედ მნიშვნელოვანი კარიერის გაკეთების კარგი შესაძლებლობაცაა, და რაც ერთი-ორად ზრდის დასაქმებულის დამსაქმებელზე დამოკიდებულების ხარისხს.

ყველა ეს ასპექტი ვერ თავსდება ფორმა-დასაქმებულის ურთიერთობების ხელშეკრულებით ფორმატში. აქედან გამომდინარე, არსებული მოცემულობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მორალური საფრთხის შემცველი სიტუაცია, რადგან, მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე არსებული მნიშვნელოვანი ძალისხმევისა, გაუმჯობესდეს დასაქმებულთა სამართლებრივი სტატუსი, სწორედ დამსაქმებლის სუბიექტური გადაწყვეტილებები განაპირობებს დიდწილად უმუშევრობის რელატიურად მაღალ დონეს უმეტეს ევროპულ ქვეყნებში, რომ აღარაფერი ვთქვათ მესამე და მეოთხე სამყაროს ქვეყნებში ამ მხრივ შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე. ამგვარად, შრომითი პერსონალი იმყოფება მუდმივი რისკის ქვეშ დამსაქმებლის მხრიდან, რათა ამ უკანასკნელმა სუბიექტურად, საკუთარი სურვილისამებრ არ გამოიყენოს თანამშრომლების მასზე დამოკიდებულების მომენტი, რაც ბუნებრივია სამსახურიდან მათ დათხოვნაში გამოიხატება.

მეორე მხრივ, დამსაქმებელი საკუთარი თანამშრომლების მხრიდან ასევე აწყდება მორალური საფრთხის მსგავს ელემენტებს:¹

- არცერთ დამსაქმებელს არ შეუძლია აკონტროლოს ან იწინასწარმეტყველოს სრულად თანამშრომლის საქმიანობა, თუმცა კომპანიამ დროის რალაც მონაკვეთში შეიძლება აღმოაჩინოს პერსონალის ჭეშმარიტად ნაყოფიერი საქმიანობის, გუნდური მუშაობისა და საიმედოობის უტყუარი ხელწერა, რაც განსაკუთრებით

1 A. Crane, D. Matten., **Business Ethics, A EUROPEAN PERSPECTIVE (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization)**, Oxford – New York, OXFORD UNIVERSITY PRESS, 2004, P.226

საცნობია იმ კომპანიებისათვის, რომელმაც ფუნქციონირების კრიზისულ ფაზაში განიცადეს მნიშვნელოვანი ზარალი. სწორედ ამიტომ, კომპანიას საკუთარი თანამშრომლების ქცევების მიმართ გააჩნია მკაცრი მონიტორინგისა და კონტროლის ინტერესი.

- გლობალურ ბაზრებზე კომპანიები ინდუსტრიალიზებულ დასავლეთში სულ უფრო დიდი ინტენსივობით ახდენენ დაბალკვალიფიციური შრომის უახლეს ცოდნაზე დაფუძნებული შრომით ჩანაცვლებას. აღნიშნულმა პროცესმა კომპანიები მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, როცა ღირებულების მნიშვნელოვანი ოდენობის შექმნა სრულდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთა ცოდნის კონტროლი, კომპანიას მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეუძლია, რაც კომპანიის კონკურენტუნარიანობისათვის გარკვეული საფრთხის შემცველია.

- უმეტესად ჭკვიან, გამოცდილ მენეჯერსაც კი უჭირს სრულად შეაფასოს მომავალი თანამშრომლის ნამდვილი შესაძლებლობები. ამიტომ, როდესაც კორპორაცია ქირაობს მომავალ თანამშრომელს და ვალდებულია იღებს მოახდინოს ძვირადღირებული ინვესტიციები მისი კვალიფიკაციის ამაღლებაში, თითქმის შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად პროდუქტიული იქნება მსგავსი კაპიტალდაბანდებები კომპანიისათვის.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დამსაქმებელი — დასაქმებულს შორის ურთიერთობებში მორალური რისკებიდან მრავალი წარმოადგენს კანონმდებლობის ობიექტს, რამდენადაც თანამშრომლები უფრო მეტად დამოკიდებულ და სუსტ მხარედ გვევლინებიან მორალური საფრთხის ქვეშ მყოფობის თვალსაზრისით, ამ კანონმდებლობის დიდი ნაწილი ფოკუსირებულია დასაქმებულის უფლებებზე. თუმცა არსებობს სამართლებრივი ტრადიციონის მკაფიო საზღვრები ეთიკური საკითხების გადანყვევებაში. ამას გარდა, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე, ხშირად იქმნება არსებული კანონების აშკარა გამოყენების საჭიროება, და სამართლებრივი გადაცდომის შემთხვევაში, ის ძალზედ ხშირად ეთიკური განსჯის საგანი ხდება.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ კომპანიის თანამშრომლები წარმოადგენენ კომპანიის სახეს და საკუთარ კომპანიას სხვა უმეტეს სტიეკჰოლდერთა წინაშე და მოქმედებენ კორპორაციის სახელით მათთან მიმართებაში. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ კორპორაციის თანამშრომლები გავლენას ახდენენ საკუთარი კომპანიის წარმატებებზე, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც მათ მიერ გაღებული უმნიშვნელოვანესი კონტრიბუცია კომპანიის გრძელვადიანი სტაბილური ფუნქციონირების საქმეში, და რაც დამსაქმებლის მხრიდან მოითხოვს ჯეროვან შეფასებებსა და ანალიზს კომპანიის საკადრო პოლიტიკის გატარების პროცესში.

SUMMARY

Vasil Khizanishvili

EMPLOYEES OF THE COMPANY, AS STAKEHOLDERS

The Employees of the Company occupy the special place among the stakeholders, as they are tightly integrated in the firm. For better knowing of the Employees of the Company it is important to demonstrate clearly legal and economic aspects of attitudes among them and the company. There is moral risks in the relationships among the employers, many of them are the object of the legislation. According to such relationships, it is often necessary to use clearly the existed law and in case of the legal misconduct, very often it becomes the ethical discussion. Therefore the employees of the company are the face of the Company that effect on the company's success, thus make the significant contribution in the case of company's long -term stable functioning, and what from the employer requires the appropriate evaluation and analysis in the process of the company's foreign policy.



**უკრაინულ-ქართული პარტნიორობის
ეკონომიკური განზომილება**

არჩილ ანჯაფარიძე

კიევის შევჩენკოს სახელობის
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ეკონომიკური განზომილება აუცილებელია უკრაინასა და საქართველოს შორის პარტნიორობის სტრატეგიული დონის ვერიფიკაციისათვის, რადგანაც ორივე ქვეყანა შვიდი ათწლეულის განმავლობაში იყვნენ ერთადერთი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრუქტურის - სსრკ შემადგენელი, ხოლო მათი სამეურნეო მდგომარეობა უმეტესწილად განისაზღვრება საბჭოთა პერიოდის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურით. ორივე ქვეყანა გადადის ეკონომიკის სახელმწიფო მართვის სისტემიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე და ცდილობენ ერთად გამოიყენონ სხვა ქვეყნების რეფორმირების გამოცდილება, ესაჭიროებათ ინვესტიციები და ეკონომიკური დახმარება განვითარებული ქვეყნების მხრიდან.

მაგრამ ქართულ-უკრაინული პარტნიორული ურთიერთობები, მათ შორის მათი ეკონომიკური განზომილება, არის ის საერთაშორისო-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზებული ფენომენი, მეცნიერული ცოდნის ხარისხი რომელიც ჯერ კიდევ რჩება ძალიან დაბალ დონეზე. ამასთანავე საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოდ არსებობის შედარებით მოკლე პერიოდში, შეუძლებელი გახდა საბჭოთა ეპოქის პერიოდში დამკვიდრებული სხვადასხვა საკითხების კვლევითი დამუშავების პარადიგმის ხარისხიანი დაძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინულ-ქართული სახელმწიფო-თაშორისი მოკლევადიანი (ისტორიულ-პოლიტიკურ და დროის განზომილებაში) ურთიერთობა განაპირობებს სამეცნიერო კვლევების ასეთ სიმცირეს აღნიშნული თემის გარშემო, მაგრამ ამასთანავე მოვლენებისა და პროცესების არასკმარისად ამომწურავი და სიღრმისეული ანალიზი [1; 2; 3], საკითხების წრე (გენეზისი, საბაზო პრინციპები, უკრაინისა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის სფერო და ფორმები, რომელიც ამ გზაზე გვხვდება, მათი გადაწყვეტის სავარაუდო გზები), რა თქმა უნდა, მოითხოვენ ფრთხილ შემეცნებით-მეცნიერულ ყურადღებასა და სათანადო დამუშავებას.

